ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 23 ივლისი, 2021 №134 (8663) ფასი: 60 თეთრი

ბათუმის ბულვარში კაცი მოკლეს

ბრალდებული მეორე სართულიდან გადახტა



გვ.5

გვ.5

გორში ვალერი ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის ზაურ მაჭარაშვილს 25 წელი მიუსაჯეს

„კალაძე თბილისის მერად არჩევისთანავე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნება“

გვ.2

კახა კუკავა: „თუ გახარიამ და მელიამ ამ ადგილობრივ არჩევნებზე თავიანთი შანსი ვერ გამოიყენეს, არ არის გამორიცხული, მომავალ წელს პრემიერ-მინისტრი კალაძე გახდეს“

„მიშელის მესამე ვიზიტი ხელისუფლებისთვის ყვითელი ბარათი იყო“

გვ.3

სოსო ცინცაძე: „ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს კრიტიკაშია. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა“

გვ.3

„მედიაზე რევანში არჩევნებისთვის მზადებაა“

ეკა გიგაური: „ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით მიშელის შეთანხმება დაირღვა. ჩემს თავს ცესკოს მიმართულებით ვერ ვხედავ“

ხატია დეკანოიძე: „ქართული ოცნების“ დამარცხება რთული იქნება“

გვ.2

გვ.4

წულუკიანმა მთავარი არხის ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა

ნიკა გვარამია: „ამის წარმოდგენა მეც კი არ შემეძლო“

ISSN 1987-9385

4 გახარია თბილისის მერობის კანდიდატად არჩილ არველაძის წარდგენას აპირებს

4 აფხაზეთის ოპოზიცია: „მართვის საადავეები პარლამენტმა უნდა აიღოს“

5 მარნეულში მკვლელობის საქმეზე დაკავებულებს ბრალდება წარუდგინეს

6 მაკრონს მაროკოს სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ?

„კალაძე თბილისის მერად არჩევისთანავე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნება“

კახა კუკავა: „თუ გახარიამ და მელიამ ამ ადგილობრივ არჩევნებზე თავიანთი შანსი ვერ გამოიყენეს, არ არის გამორიცხული, მომავალ წელს პრემიერ-მინისტრი კალაძე გახდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? საარჩევნო მარათონი გახურდა, ხელისუფლებამ თბილისის მერობაზე კახა კალაძე წარადგინა. ახლა ჯერი ოპოზიციაზეა. ვისმენთ შეფასებებს, რომ კალაძე უკონკურენტოა. რას იტყვით თქვენ?

– ჩვენ არასაპარლამენტო პარტიებთან ერთად შევქმენით კოალიცია ეროვნული ფრონტი და ჩვენი კანდიდატი არის ზაზა ხატიაშვილი. როგორც ვიცი, საპარლამენტო პარტიები აპირებენ რამდენიმე კანდიდატის წარდგენას და მუშაობენ ამაზე. ჩვენ ამ პროცესში ჩართული არა ვართ. რაც შეეხება იმას, ეყოლება თუ არა კონკურენტი კალაძეს, რა თქმა უნდა, კონკურენტი ეყოლება, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა რთულია ამ ვითარების გაზომვა, კალაძეს რამდენად უდევს გარანტირებული გამარჯვება ჯიბეში.

– შესაძლოა, შეიცვალოს სიტუაცია?

– კი. დღეს ხელისუფლება იმის იმედზეა, რომ არჩევნების წინ ხმებს იყიდის და, სამწუხაროდ, ეს ხმები იყიდება. ხელისუფლებას აქვს იმის ფინანსური რესურსი, რომ ამის მობილიზაცია მოახდინოს. თუმცა ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ ამ ქვეყანაში ხდება ისეთი არაორდინარული მოვლენა, რის გამოც ხელისუფლების ყოფნა-არყოფნას საფრთხე ემუქრება. ეს ხან საერთაშორისო სანქციებია და ხან – შიდაარეულობა. ამიტომაც ოქტომბრამდე დარჩენილი დრო არც ისე ცოტაა და ჩვენ არ ვიცით, ამ ხელისუფლებას, რომელსაც კობახიძე და ღარიბაშვილი ხელმძღვანელობენ, რომ რამე არ დაემართება. რამეს რომ არ ჩაიდენენ, ამის გარანტია არავის შეუძლია გასცეს, თორემ ისე კახი კალაძის პიროვნული რეიტინგი, „ოცნების“ სხვა ლიდერებთან შედარებით, უფრო მაღალია, ამას არავინ უარყოფს და ეს სადავო ფაქტი არ არის.

– ანუ პოლიტიკურად ცხელი და არაპროგნოზირებადი სიტუაციაა?

– დიახ, ასეა. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამაზე. მე ამ სიტუაციას შევადარებდი შევარდნაძისა და სააკაშვილის ბოლო ორ-სამ წელიწადს, როდესაც არ იყო გამოკვეთილი სახელისუფლებო ალტერნატივა და ამაზე იყო დაფუძნებული არსებული რეჟიმები. შევარდნაძე საერთოდ 0%-ით არსებობდა წლების განმავლობაში იმის გამო, რომ მისი ოპონენტი აბაშიძე იყო. როგორც კი ალტერნატივა გამოჩნდა, მისი რეჟიმი ძალიან იოლად დაეცა. ანალოგიური მოხდა სააკაშვილის შემთხვევაშიც. ივანიშვილის რეჟიმიც ძალიან დაბალრეიტინგულია, მაგრამ ოპოზიციაშიც არ გამოიკვეთა ჯერჯერობით სოლიდური და მაღალრეიტინგული პოლიტიკური გუნდი. როგორც კი ეს გამოიკვეთება, ივანიშვილის რეჟიმსაც შეერყევა საფუძველი. აქ მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ვინ მოიგებს თბილისის მერის არჩევნებს, მნიშვნელოვანია, ადგილობრივ არჩევნებს შევხედოთ, როგორც საკვალიფიკაციო რაუნდს. დღეს ვინც არიან წამყვანი ოპოზიციური ძალები, ვიცით, მაგრამ მათ 5:0 წააგეს ხელისუფლებასთან. ახლა ადგილობრივი არჩევნები არის საშუალება, რომ მოხდეს ამ ძალების გადალაგება, რომ მოსახლეობამ ახალი მანდატი გასცეს ახალ ძალებზე ან ახალი პროპორციით და, თუ გამოიკვეთა ოპოზიციაში სხვა ძალები, შესაძლებელია, მათ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებას გაუწიონ რეალური კონკურენცია. ფაქტია, რომ ამ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ბრძოლა წააგო. მარტო პრაიდის თემა რად ღირს, ისინი ხელისუფლების დაგებულ მახეში გაებნენ თავფეხიანად. სანამ ოპოზიციაში მთავარი წამყვანი ფიგურები იქნებიან ნაციონალური მოძრაობა, ლელო და ევროპული საქართველო, არა მგონია, რომ ამ ხელისუფლებას არჩევნებში მარცხის შიში ჰქონდეს.

– ამბობენ, რომ ნაციონალური მოძრაობა და კიდევ რამდენიმე პარტია გეგმავენ, ნიკა მელია წარადგინონ თბილისის მერობის კანდიდატად, ელენე ხოშტარია – საკრებულოს თავმჯდომარედ, ხოლო ზურაბ ჯაფარიძე – ვიცემერად. ოპოზიციაში არ არის ერთსულოვნება ამ კანდიდატებზე. რას იტყვით თქვენ?

– პიროვნულად არც ზურა ჯაფარიძეს ვერჩი და არც ელენე ხოშტარიას, მაგრამ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყანაში ორი ლგბტ აქტივისტი მოუგებს ხელისუფლებას, მაშინ მე არ მცოდნია არაფერი პოლიტიკაში და ბოდიშს ვიხდი.

– შანსები მინიმალურია?

– მინიმალურიც არ არის, ნულოვანია, თუ ეს შემადგენლობა დადასტურდა. იცნობთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ელენე ხოშტარია და ზურა ჯაფარიძე ურჩევნიათ ბიძინა ივანიშვილს? მე არ ვიცნობ!

– რას იტყვით გახარიაზე? გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩილ არველაძე იქნება მათი თბილისის მერობის კანდიდატი. თავიდან სწორედ ჩვენი გაზეთი იყო, რომელმაც პირველმა დაწერა ამის შესახებ. მაშინ არ დაგვიდასტურეს. ახლა კი თავადვე ამბობენ, რომ მიდის შეთანხმება მის კანდიდატურაზე. რა შანსები ექნებათ? საკმაოდ საინტერესო იქნება კალაძისა და არველაძის ჭიდილი.

– კი, ეს ნამდვილად საინტერესო იქნება, თუმცა ამ შემთხვევაში მაინც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომელზეც ადრეც ვსაუბრობდი, გახარია თუ მელია, ვინ იქნება მომავალი ოპოზიციური ლიდერი. რადგანაც ფეხბურთელი კანდიდატები გვყავს, ფეხბურთში არის ასეთი წესი, რომ თუ ვერ გაიტან შენ გოლს, აუცილებლად გაგიტანს მოწინააღმდეგე გუნდი.

– საით მიანიშნებთ?

– ჩემი აზრით, თუ გახარიამ და მელიამ ვერ გამოიყენეს ამ ადგილობრივ არჩევნებზე თავიანთი შანსი, არ არის გამორიცხული, მომავალ წელს ოპოზიციის ლიდერი და მომავალი პრემიერ-მინისტრი გახდეს კახი კალაძე.

– თქვენ ფიქრობთ, რომ კალაძე ოპოზიციაში წავა?

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კალაძე თბილისის მერად არჩევისთანავე „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნება. ეს უკვე პოლიტიკურ წრეებში ყველამ ვიცით და არავისთვის საიდუმლო არ არის.

– მაშინ, მერობას რატომ დასთანხმდა?

– ახლა დასთანხმდა იმიტომ, რომ „ოცნებას“ წაუყენა ულტიმატუმი და „ოცნება“ იძულებული იყო, ეს ულტიმატუმი დაეკმაყოფილებინა, რომ მთელი სია როგორც თბილისში, ისე მთელ რიგ საკვანძო ქალაქებში იქნება მის მიერ დაკომპლექტებული. მისი მოთხოვნა იყო და ეს მოთხოვნა შეასრულეს, რომ თბილისის სიაში არ იქნება ღარიბაშვილის არც ერთი ნათესავი. გახსოვთ, რომ „ოცნება“ აჭიანურებდა ეს თვეები მოლაპარაკებებს, „ოცნება“ განიხილავდა თალაკვაძესა და კიდევ სხვა კანდიდატურებს, მაგრამ, როდესაც გააზომვინეს სოციოლოგებს, ნახეს, რომ კალაძის გარდა, ოპოზიციასთან მოგების შანსი თეორიულადაც არავის ჰქონდა. ამიტომ იძულებული გახდნენ, კალაძის ულტიმატუმი მიეღოთ.

– ანუ თქვენი პროგნოზი ასეთია, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში თბილისს ეყოლება ოპოზიციონერი ქალაქის მერი?

– ამაში არათუ მე ვარ დარწმუნებული, ეს პრაქტიკულად ყველამ იცის პოლიტიკურ წრეებში, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც. ამაში საიდუმლო არაფერი არ არის, რომ კალაძე ცალკე თამაშს თამაშობს. აქ კითხვის ნიშანი იმას უდგას, თუ კალაძე რამდენად შეძლებს, მოიპოვოს იმხელა რეიტინგი, რომ გახდეს ოპოზიციის ლიდერი. დღეს საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს უნდა ხელისუფლების ცვლილება, უნდა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობის დასრულება, ოღონდ უნდა, რომ გამოირიცხოს სააკაშვილის რევანში და ეს ცვლილებები მოხდეს შედარებით მშვიდობიანად.

– მაშინ, ამ სიტუაციაში მეორე გამოირიცხება. ის ხომ სააკაშვილის კაცად მოიაზრება!

– არ არის გამორიცხული, რატომ? თავიდან მელიას რიტორიკა სწორი იყო. ის მწვავედ გაემიჯნა მერაბიშვილს.

– უკრაინაში ჩაიკოთხა სააკაშვილს და მასთან შეთანხმების გარეშე პარლამენტშიც ვერ შევიდა...

– ამაზე ბევრი საუბრობს, შეცდომა იყო თუ არა. სწორედ ამიტომაც ვსაუბრობთ ჩვენ შანსების დაკარგვაზე. თავის დროზე მელიას რეიტინგი გაიზარდა არა იმის გამო, რომ ვინმეს მისი თვალები მოსწონს, არამედ იმის გამო, რომ ის საკმაოდ გრძელი პერიოდის განმავლობაში სწორედ ამას ამბობდა, რომ მთავარი არ არის ნაცმოძრაობა, რომ საჭიროა გაერთიანებული ოპოზიცია, რომ მიშა უნდა გაიწიოს გვერდზე და ასე შემდეგ. აი, ეს რიტორიკა ჰქონდა მას. სწორედ ამან განაპირობა მისი მაღალი შედეგი გლდანის ოლქში. გახარიასაც თუ რაიმე მაღალი რეიტინგი აქვს, აქვს ამის გამო, რომ ის წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც დაუმორჩილებლობა აჩვენა ივანიშვილის მიმართ, თანაც არ საუბრობს რევანშსა და სააკაშვილთან ურთიერთობაზე. ვიმეორებ, გახარიასთვისაც და მელიასთვისაც ეს არჩევნები ერთგვარი წითელი ხაზია.

– ეს არჩევნები განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება ოპოზიციის ლიდერი?

– კი. მელიასთვის საგამოცდო მინიმუმია, რომ მან უნდა დაიკავოს მეორე ადგილი ძალიან დიდი პროცენტით, უნდა მიუახლოვდეს კალაძეს, მოკლედ, არ უნდა გაფარჩაკდეს და ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ის ჩამოყალიბდეს ოპოზიციის ლიდერად. გახარიასთვის შეიძლება მეორე ადგილი არ იყოს ეს, მაგრამ მთელი საქართველოს მასშტაბით მან უნდა აჩვენოს ორნიშნა ციფრი იმისთვის, რომ მას ჰქონდეს უფლება, თქვას, ჩემ ირგვლივ უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია და შევცვალოთ არჩევნების გზით ივანიშვილის რეჟიმიო. თუ ეს ვერ მოახერხეს, მე გეუბნებით ჩემს პროგნოზს და დაიმახსოვრეთ. მაშინ კალაძეს გაეხსნება სერიოზული შანსი. რატომ მოვიყვანე ფეხბურთის ტერმინი, თუ შენ არ გაიტან გოლს, მაშინ შენ გაგიტანენო? ან გააკეთებენ ამას გახარია და მელია, ხოლო თუ ვერ გააკეთებენ, მაშინ ამ გოლს გაიტანს კალაძე. ეს არის პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნა და ყველას გვესმის, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს ნაციონალებითა და მისი განაყოფებით.

– მისცემს კალაძეს ივანიშვილი ამის საშუალებას?

– რაში სჭირდება კალაძეს ივანიშვილი? კალაძეს ფული არა აქვს, ავტორიტეტი აქვს ივანიშვილზე ნაკლები თუ რა?!

– ხომ შეიძლება, გააშავონ? როგორც ყოფილ მერს, კომპრომატებს მოუძებნიან.

– როდესაც პოპულარული ლიდერი გამოიკვეთება, ნებისმიერი მცდელობა მისი გაშავებისა, პირიქით, უკუეფექტს იწვევს. თუ მოხდა ისე, რომ კალაძე გახდა ოპოზიციონერი ლიდერი, მის წინააღმდეგ დადებული ნებისმიერი კომპრომატი ისევ ივანიშვილის წინააღმდეგ იმუშავებს.

ხატია დეკანოიძე: „ქართული ოცნების“ დამარცხება რთული იქნება“

– რთული იქნება, ზოგადად, „ქართული ოცნების“ დამარცხება, მხოლოდ თავგანწირული ბრძოლა დაამარცხებს ამ ხელისუფლებას.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის’ ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერობის წინა არჩევნების შემდეგ თბილისი უფრო გაღარიბდა და ძალადობამ იმატა. ამიტომ ქალაქში „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო სლოგანის საპირისპირო ვითარებაა.

– წინა არჩევნების შემდეგ ჩვენ ვიხილეთ გაღატაკებული ქვეყანა, ძალადობა. ყველას გვეშინია საკუთარი ოჯახის წევრების ქუჩაში გასვლის. დღეს კახა კალაძის კამპანია არის სიცოცხლე ყველა უბანში და სრულიად საპირისპიროა, რაც ხდება დღეს თბილისში.

რთული იქნება ზოგადად „ქართული ოცნების“ დამარცხება. მე არ ვამბობ, რომ ადვილი დასამარცხებელია. მხოლოდ თავგანწირული ბრძოლა დაამარცხებს ამ ხელისუფლებას იმიტომ, რომ ეს არის კლეპტოკრატიული, ოლიგარქიული რეჟიმი, რომელმაც ისე გაიდგა უკვე ფესვები, რომ ის ადამიანები, ვინც არიან ხელისუფლებაში, იცავენ საკუთარ კეთილდღეობას, ბიძინა ივანიშვილის კეთილდღეობას, დოვლათს, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის შექმნეს. ამიტომ, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ, ეს არის ბრძოლა თავგანწირული და ყველამ მაქსიმალური ინვესტიცია უნდა ჩადოს ამ კამპანიაში და ამ ბრძოლაში, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ხატია დეკანოიძის განცხადებით, გიორგი გახარია ნაციონალური მოძრაობის კონკურენტი არ არის და მისი პარტია მხოლოდ მცირე პარტიებს „აშფოთებს“.

– ჩვენი პარტიისთვის გახარია არ არის ნამდვილად კონკურენტი. ალბათ, უფრო სხვა მცირე პარტიების შფოთვაა. გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის გახარია არ არის ოპოზიციონერი. არ არის იგი იმ ველზე, სადაც შეუძლია, რომ ოპოზიციის ველზე შემოვიდეს და წაიღოს ოპოზიციის ხმები და მით უმეტეს, ჩვენი პარტიის ხმები, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ ეს.

ძირითადად მისი საარჩევნო ველი ეს არის უფრო „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი, ვისაც არ მოსწონს ღარიბაშვილი, ვისაც არ მოსწონს წულუკიანი. შეიძლება, ამ ადამიანებში აქვთ მხარდაჭერა. მე ვფიქრობ, გადამწყვეტს არა, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, თუ ბოლომდე შეინარჩუნებს იმ რეიტინგს, რომელიც აქვს, რომ წაართვას ხმები „ქართულ ოცნებას“, – განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: **akhalitaoba.ge** ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მედიაზე რევანში არჩევნებისთვის მზადებაა“

ეკა გიგაური: „ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით მიშელის შეთანხმება დაირღვა. ჩემს თავს ცესკოს მიმართულებით ვერ ვხედავ“

იავო ნაცვლიშვილი

ჩანს თუ არა ის, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია 5-6 ივლისის მოვლენების გამოძიებით და გადადგა თუ არა ნაბიჯები ამ მიმართულებით? რა პროცესი იკვეთება ცესკოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით და შემოთავაზების შემთხვევაში თავად თუ მიიღებდა კონკურსში მონაწილეობას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური საუბრობს.

– გავიდა რაღაც პერიოდი 5-6 ივლისის მოვლენებიდან. ბუნებრივია, თქვენ აკვირდებით ამ პროცესს და ხედავთ თუ არა იმას, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია ამ საქმის გამოძიებით და გადადგა გარკვეული ნაბიჯები?

– მე ვიტყოდი – არა, ეს ჩანს როგორც მათ ქმედებებში, ისე განცხადებებში. აქ მთავარი ხომ ის არის, რომ სამაგალითოდ დასჯილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად გაუსწორდნენ მედიის წარმომადგენლებს. ეს არის უმძიმესი დანაშაული, მაგრამ ამის საანაცვლოდ ვხედავთ, რომ, კი ბატონო, რამდენიმე ადამიანი დაკავებულია, მაგრამ აქ არ არის საუბარი ორგანიზატორებზე. ასევე ვხედავთ იმ განცხადებებს ხელისუფლების მხრიდან, რომლებიც ახალისებს აგრესიულ ჯგუფებს. ვსაუბრობ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების იმ განცხადებებზე, სადაც ისინი კონკრეტულ მედიასაშუალებებზე ამბობენ, რომ ის არ არის მედია. ამბობენ, რომ ფაქტობრივად პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ და ა.შ.

რაღაცა უცნაური და მიუღებელი კეთდება, რომ თურმე მედია ძალადობს კონკრეტულ პირებზე. თუ მათ ძალადობა ჰგონიათ ის, რომ კრიტიკული კითხვები ისმის, მაგალითად, კორუფციასთან დაკავშირებით, ეს სასაცილოა. მედია იმისთვის არის, რომ კრიტიკული კითხვები დასვას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე ეხება კორუფციას, არასწორ მმართველობასა თუ უფლებამოსილების გადამეტებას. თუ კონკრეტულ მაღალჩინოსანს ეს არ სიამოვნებს, ეს ძალადობა არაა, ეს არის ის, რაც მედიის მოვალეობაა.

– 5 ივლისის მოვლენების წინ მოვისმინეთ პრემიერის განცხადება, რომელმაც ფაქტობრივად მწვანე შუქი აუნთო ძალადობას. დღეს ხელისუფლებაში ამბობენ, რომ ძალადობა დაუშვებელია, მაგრამ ისევ იმ განცხადებებს აკეთებენ, რომლებიც თქვენც ახსენეთ, ეს ნიშნავს იმას, რომ მოძალადე ჯგუფების მიმართ მწვანე შუქის ანთება გრძელდება?

– კი, რა თქმა უნდა. ჩვენ რაც ვნახეთ, ეს იყო კულმინაცია იმ სამთავრობო გადაწყვეტილებისა, რომელიც მიმდინარეობს კრიტიკული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. ბევრი შემთხვევა გვქონდა, როდესაც კონკრეტულ ჟურნალისტებს თავს ესხმოდნენ და სხვადასხვა აქციის დროს, რომლებიც ორგანიზებული იყო ულტრამემარჯვენე და „ოცნებასთან“ დაახლოებული პირების მიერ, იქ ვხედავდით თავდასხმებს კრიტიკული მედიის წარმომადგენლების მიმართ და ეს ფაქტები გამოძიებული არ იყო.

მიმდინარეობდა გამოძიება ვახო სანაიაზე თავდასხმაზე, მაგრამ პარალელურად კოორდინირებული კამპანია იყო მთავრობასთან დაახლოებული პირების მიერ ვახო სანაიას წინააღმდეგ. 5 ივლისს რაც იყო, ეს იყო იმის კულმინაცია, რასაც ეწევა ხელისუფლება. პრემიერმა მწვანე შუქი აუნთო მოძალადე ჯგუფებს. ისინი თავიანთი განცხადებებით ამას დღესაც აგრძელებენ. ჩემთვის ეს არის „ქართული ოცნების“ მზადება არჩევნებისთვის. მათ აქვთ ძალიან ბევრი პრობლემა, განსაკუთრებით – კორუფციასთან მიმართებით. ვიცით ბევრი მაღალჩინოსანი, განსაკუთრებით რეგიონებში, რომლებიც მდიდრდებიან, მათი ოჯახის წევრები იგებენ ტენდერებს. ხელისუფლებას არ უნდა, რომ ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიიღოს მოსახლეობამ. სწორედ ამის გამო ერჩიან ისინი მედიას და გაუსწორდნენ თავიანთი ქმედებებით მას, რათა გადამღებ ჯგუფებს ქუჩაში გასვლა და კრიტიკული მასალის მომზადება არ შეეძლოთ. აშკარაა „ქართული ოცნების“ მხრიდან ასეთი გადაწყვეტილება, რაც მიუღებელია.

– საარჩევნო კამპანია ასეთ ფორმატში წარიმართება? ასეთია თქვენი შთაბეჭდილება?

– დიახ. მე მგონია, რომ ეს იყო მედიაზე რევანში და ეს ნამდვილად არის არჩევნებისთვის მზადება. ეს კეთდება იმისთვის, რომ კრიტიკულმა მედიამ თავისი ფუნქცია არ შეასრულოს და რამდენიმეჯერ დაფიქრდეს, სანამ რაიმე კონკრეტულ მასალას მოამზადებს. ეს იყო მკაფიო გზავნილი მედიასთან მიმართებით.

– ახსენეთ არჩევნები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ კონტექსტში არის ცესკოს თავმჯდომარის არჩევა. გუშინ პარლამენტისგან საჭირო მხარდაჭერა ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო. რამდენად გამჭვირვალედ მიმდინარეობს ეს პროცესი და ხედავთ თუ არა რაიმე ნაბიჯს იმ მიმართულებით, რომ ცესკოს თავმჯდომარე გახდება ობიექტური პირი?

– მე ვიტყოდი, რომ „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება დაამტკიცოს, რომ მათ შეასრულეს შარლ მიშელის შეთანხმებაში გაწერილი პირობა. იქ საუბარი იყო იმაზე, რომ ცესკოს თავმჯდომარის შერჩევაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს საპარლამენტო უმცირესობამ. მათ რაც გააკეთეს, ამით ფაქტობრივად დაარღვიეს ის პუნქტი, რომელიც ამბობს იმას, რომ ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატების კენჭისყრებს შორის უნდა იყოს ოთხკვირიანი შუალედი. იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა ეს შუალედი, მაშინ იძულებული იქნებოდნენ, გარკვეულ ნეიტრალურ ფიგურაზე შეთანხმებულიყვნენ ოპოზიციასთან ერთად, იმიტომ, რომ ისე გაუჭირდებოდა ახალი თავმჯდომარის არჩევა, ხოლო ოპოზიციის წარმომადგენელი, როგორც მოადგილე, შეასრულებდა თავმჯდომარის ფუნქციას. მათ ეს ვადები შეამცირეს ერთ კვირამდე, რათა ორი კენჭისყრა ერთკვირიანი შუალედებით ჩაეტარებინათ, ჩაეგდოთ ამ კენჭისყრაზე მათთვის სასურველი პირი. როგორც ჩანს, მათთვის სასურველი პირი ისევ ცესკოში მომუშავე იქნება.

ერთი მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა არასამთავრობო ორგანიზაციები მიიწვია ამ კომისიაში, თუმცა კომისიაში არასამთავრობო სექტორის ისეთი რაოდენობა იყო, რომ ისინი გავლენას ვერ მოახდენდნენ საბოლოო შედეგზე და იმაზე, ვინ გაიგზავნებოდა კანდიდატად, რადგან უნივერსიტეტების წარმომადგენლები უფრო მეტნი იყვნენ. „ოცნებამ“ განახორციელა ის ცუდი კანონი, რომელიც მათ მიიღეს და რომელიც შარლ მიშელის დოკუმენტის პირდაპირი დარღვევა იყო.

აქ მთავარი ჩვენი პარტნიორების მხრიდან ალბათ იყო ის მცდელობა, რომ ცესკოს თავმჯდომარე ყოფილიყო ნეიტრალური ფიგურა და, შესაბამისად, ცესკოსთან მიმართებითაც მოსახლეობის უფრო დიდი ნდობა იქნებოდა, მაგრამ დღეს უკვე ისე მიდის პროცესი, რომ ისევ იქნება კითხვები ცესკოს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც დიდი პრობლემაა, რადგანაც ჩვენ გვექნება ძალიან კრიტიკული არჩევნები და მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობა.

– ოპოზიციიდან გარკვეულმა პოლიტიკოსებმა თქვეს, რომ ცესკოს კარგი თავმჯდომარე იქნება ნინო ლომჯარია ან თქვენ. მაგალითად, ასეთი განცხადება ჩვენთან ინტერვიუში ლევან ხაბეიშვილმა გააკეთა. თქვენთვის რომ იყოს ასეთი შემოთავაზება და ეს საკითხი დადგეს დღის წესრიგში, დაფიქრდებით?

– არა, მე ჩემს თავსა და ჩემს კარიერულ განვითარებას ცესკოს მიმართულებით ნამდვილად ვერ ვხედავ, თუმცა ვთვლი, რომ ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი არსებობს და არა მხოლოდ არასამთავრობო სექტორში, არამედ პროფესიულ – სამეცნიერო წრეებში, რომელთაც შეუძლიათ ამ ფუნქციის შესრულება. მე მგონია, რომ ცესკოს თავმჯდომარე, პირველ რიგში, კარგი მენეჯერი უნდა იყოს. ბევრი საკითხია შესაცვლელი ორგანიზაციის მართვასთან დაკავშირებით, ელექტრონული საარჩევნო სისტემა უნდა დავნერგოთ და ა.შ. ბევრი საკითხია ისეთი, რომლებსაც კარგი მენეჯერი სჭირდება. მგონია, რომ ასეთი ადამიანი ბევრია ჩვენს ქვეყანაში. უბრალოდ, მონაწილეობა ბევრს არ მიუღია მცირე ვადების გამო და იმის გამოც, რომ ნდობა ამ პროცესის მიმართ იყო ძალიან დაბალი და ყველამ იცოდა, რომ „ოცნება“ თავის კანდიდატს აირჩევდა.

„მიშელის მესამე ვიზიტი ხელისუფლებისთვის ყვითელი ბარათი იყო“

სოსო ცინცაძე: „ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს კრიტიკაშია. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ადგილობრივი არჩევნები გადამწყვეტად არის შეფასებული. როგორი არჩევნები გველოდება?

– ეს არჩევნები მართლაც გადამწყვეტი იქნება. მეტს უკვე აღარ აიტანენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, აღარც ვაშინგტონში და აღარც ბრიუსელში. შარლ მიშელის მესამე ვიზიტი ნამდვილად იყო ყვითელი ბარათი. დახურულ კარს მიღმა ეს არ იქნებოდა მარტივი შეხვედრა. დარწმუნებული ვარ, არაოფიციალურად „ოცნების“ ლიდერები გააფრთხილეს კიდეც, რომ ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება.

ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ არჩევნებს ჩაატარებს ხელისუფლება. ერთი დეტალიც – როგორც ჩანს, ხელისუფლება არ აპირებს ცესკოს თავმჯდომარის

დანიშვნას. ალბათ დროებითი თავმჯდომარე ჩაატარებს არჩევნებს ან მხოლოდ დროებით, 6 თვით დანიშნული. ეს შეიძლება დეტალია, მაგრამ ესეც შეიძლება, ერთგვარი გზავნილი იყოს.

თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ „ოცნება“ არ აპირებს უკანდახევას. ეს მთავარი გზავნილი უკვე გაშვებულია. ხელისუფლება არ აპირებს არავითარ კომპრომისზე წასვლას. ეს მოსალოდნელიც იყო. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია, როდესაც კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი დაინიშნა ვიცეპრემიერად. ეს არ იყო შემთხვევითი გადაწყვეტილება. როგორც მახსოვს, არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ კულტურის მინისტრი ვიცეპრემიერი არასდროს ყოფილა. ვიცეპრემიერი ყოველთვის არის თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, საკვანძო მინისტრი, მაგრამ არა კულტურის მინისტრი. ეს იყო სუფთა პიროვნული გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ წულუკიანს უკავშირდება, პოლიტიკოსს, რომელიც გამოირჩევა თავისი არალიბერალური განცხადებებით. სასამართლო სისტემის რეფორმა რომ არ ჩავარდნილიყო და ასეთი კრიტიკა არ მოდიოდეს დასავლეთიდან, კიდევ გასაგები იქნებოდა წარმატებული რეფორმის კვალობაზე მინისტრის დაწინაურება, მაგრამ ამ ფონზე?! სად არის ლოგიკა?! ამიტომ სრულიად გასაგებია, რა დგას ამ გადაწყვეტილების უკან.

„ქართულმა ოცნებამ“ რატომღაც გადაწყვეტა, რომ კომპრომისი დამარცხებაა. არადა, პოლიტიკა კომპრომისის გარეშე არ არსებობს. კომპრომისი დამარცხებად ან სისუსტედ არავის უღიარებია.

ამ ქვეყანას პროტესტის მეტი რა ახსოვს, ჯერ კიდევ კომუნისტებიდან მოყოლებული, მაგრამ, რასაც დღეს ვხედავ, ჟურნალისტების მასობრივი პროტესტი, ლამის ყოველდღიური, ნამდვილად არ მახსოვს. როგორც ჩანს, „ოცნებამ“ არჩევანი უკვე გააკეთა – არავითარი ცვლილებები.

– არჩევნების მოგება ყველაფრის ფასად?

– რატომღაც „ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ მისთვის ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მიუღებელია. როგორც ჩანს, მიუღებელია იმიტომ, რომ მას არ აქვს ის გარანტიები, რომლებიც ჰქონდა თუნდაც მიხეილ სააკაშვილს 2012 წელს.

– მაშინ ამერიკის როლი იგრძნობოდა.

– რასაკვირველია. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ შეთანხმება მოხდა და ამერიკის როლი იყო განუზომლად დიდი. სავარაუდოა, რომ არა ეს შეთანხმება, სააკაშვილს დააპატიმრებდნენ კიდეც. ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის სანაცვლოდ არავითარი რეპრესიები. მაშინ გაჩნდა ტერმინი „კოჰაბიტაცია“ – თანაარსებობა, თანაცხოვრება, მაგრამ ეს ტერმინი არ იყო გააზრებული.

2012 წელს, როდესაც ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა არჩევნებში, მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ ჰქონდა დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა. ისეთი მხარდაჭერა არა, რომ არჩევნების გაყალბების უფლება მიეცათ, მაგრამ მაინც ჰქონდა. დღეს უკვე სულ სხვა რეალობაა. ყოველდღე უკვე ხან სახელმწიფო დეპარტამენტი გამოდის კრიტიკით და ხან ვინ. ერთი სიტყვით, ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს კრიტიკაშია. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა.

– როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის შანსები როგორია?

– სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს. არ ჩანს, რომ ოპოზიცია სერიოზულად უდგებოდეს და სათანადოდ ემზადებოდეს ამ არჩევნებისთვის. წინა არჩევნებში ეს უფრო ჩანდა. მაშინ ოპოზიციის განწყობა იგრძნობოდა, დღეს, როდესაც ორი თვეღაა დარჩენილი არჩევნებამდე, ვერ გავიგე, რას აკეთებს ოპოზიცია. ამიტომ, არ გამიკვირდება, „ოცნებამ“ ხმების 43% კი არა, 45% მოაგროვოს. სამწუხაროდ, ასეთია არსებული რეალობა.

აფხაზეთის ოპოზიცია: „მართვის საფავეები პარლამენტმა უნდა აიღოს“

ოკუპირებული რეგიონის ენერგეტიკა რუსეთის ხელში გადავიდა

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებულმა პერმანენტულმა კრიზისმა, რომელიც დროდადრო მწვავდება და გამოიხატება დე ფაქტო პრეზიდენტისა და მისი გუნდის გადადგომის მოთხოვნაში, ამ დღეებში განსხვავებული ელფერი შეიძინა.

ბჟანია-ანქვაბი-შამბას რადიკალური მოწინააღმდეგეები მოუწოდებენ აფხაზეთის პარლამენტს – სახალხო კრებას, რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებზე აიღოს პასუხისმგებლობა და დაამყაროს მაქსიმალური კონტროლი.

ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მორიგი განრისხების მიზეზი თუ საბაბი გახდა მძიმე კრიმინალური შემთხვევები, კოვიდ-19-ის აფეთქების ახალი ტალღა, ასევე – აფხაზეთის ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე ვითარება.

– იმ დროს, როცა მძვინვარებს ეპიდემია, დედაქალაქში ხდება სროლები და მკვლელობები, ვუახლოვდებით ენერგეტიკულ კატასტროფას, უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლებმაც ქვეყანა სრულ კრიზისამდე მიიყვანეს, გარიდებული არიან. მოვუწოდებთ პარლამენტს, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში ყოველთვის იღებდა კონტროლს საკუთარ თავზე, ამჯერადაც იკისროს მდგომარეობის კონტროლი, – მიმართეს ორგანიზაციებმა პარლამენტს.

სოხუმში 17 ივლისს მომხდარი უმძიმესი კრიმინალური ფაქტი აფხაზეთის პარლამენტს ისედაც კონტროლზე ჰყავს აყვანილი. პარლამენტში ამის გამო დაიბარეს შს მინისტრი და მთავარი პროკურორი.

არსებული ინფორმაციით, იმ დღეს აფხაზეთის ომის ვეტერანმა ბესლან ძიბამ ქუჩაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ერთი და მძიმედ დაჭრა ორი კაცი. საქმეზე გამოძიება დაწყებულია. ერთ-ერთი ვერსიით, შემთხვევის ადგილზე ორი პისტოლეტიდან ისროდნენ. ყველა მოწმე დღემდე ვერ დაიკითხა.

არ არის გამორიცხული, რომ გამოძიება ბოლომდე ვერ მივიდეს. ასეთი რამ აფხაზეთში ნორმაა. არც ის იქნება მოულოდნელი, რომ ბათქაბუთქი და მკვლელობები გამეორდეს. კრიმინალს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერც ერთმა ადმინისტრაციამ ვერ მიხედა.

ოპონენტები პარლამენტს ენერგოკრიზისზეც სთხოვენ ყურადღების გამახვილებას. მოსახლეობას დენი ისევ გრაფიკით მიეწოდება.

აფხაზეთის ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი მოსახლეობას არწმუნებს, რომ ენერგოსისტემის მოწესრიგება დაწყებულია და ოპტიმიზაციის შემდეგ პრობლემები მოიხსნება.

რუსეთის ფედერაციის შესაბამის უწყებებთან უკვე საბოლოოდ შეთანხმდა აფხაზეთის ენერგოსისტემის ოპტიმიზაციის გეგმა.

ეს გულისხმობს აფხაზეთის ენერგეტიკის გადასვლას რუსეთის ხელში და დენის საგრძნობ გაძვირებას. აქამდე აფხაზეთში (დიდწილად, ენგურჰესის) დენი იაფი იყო. ადმინისტრაცია კი ამ მინიმალური საფასურის ამოღებასაც ვერ ახერხებდა.

მალე დამტკიცდება დენის ტარიფების დამტკიცების მეთოდოლოგია. ტარიფში გათვალისწინებული იქნება მოწოდების, ქსელების ექსპლუატაციის, მრიცხველების დაყენების ხარჯები.

ეკონომიკის მინისტრი ხალხს არწმუნებს, რომ ტარიფები „შოკურად“ არ მოიმატებს. ტარიფების ზრდა ნელ-ნელა, ხუთი წლის განმავლობაში მოხდება. გამრიცხველიანებულ მომხმარებელს სხვა ტარიფს დაუწესებენ, გაუმრიცხველიანებელს – სხვას, კრიპტოვალუტის მაინინგისათვის აუცილებელი აპარატურის მქონეებს სხვანაირად მიუდგებიან.

ელექტროქსელების რეაბილიტაციის, ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის რუსეთი აფხაზეთში ჩადებს 4,7 მილიარდი რუბლის ინვესტიციას.

იგეგმება ენერგოკომპანია „ჩერნომორენერგოს“ აქტივების აუდიტი.

აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ენერგოსისტემის ანუ სტრატეგიული ქონების გასხვისებას ეწინააღმდეგება. ზოგიერთი ექსპერტი კი აცხადებს, რომ სანამ „ჩერნომორენერგო“ ნაწილობრივ კერძო არ გახდება, აფხაზეთის ენერგეტიკას არ ეშველება.

რუსეთი ასევე გეგმავს აფხაზეთის გაზიფიკაციას, სოხუმის აეროპორტის რეკონსტრუქციას. ესეც, ისევე, როგორც ენერგეტიკის დაპატრონება, იქნება ნაბიჯი აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიისკენ.

აფხაზეთში ამას არ მიესალმებიან. ბუნებრივია, ეს საგანგაშოა თბილისისთვის. თუმცა თბილისს აფხაზეთისთვის არ სცალია.

წულუკიანმა მთავარი არხის ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა

ნიკა გვარამია: „ამის წარმოდგენა მეც კი არ შემეძლო“

საქართველოს კულტურის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მიაჩნია, რომ მედიას თუ რამის თავი აქვს, პრემიერისა და შს მინისტრის გადაყენება შეუძლია, თუმცა, თეა წულუკიანის თქმით, მიზეზშედეგობრივი კავშირი ტვ პირველის ოპერატორის ცემასა და გარდაცვალებას შორის ამ ეტაპზე არ არსებობს.

– ტვ პირველსა და ყველას გიპასუხებთ, რომ არ უნდა გადადგნენ ირაკლი ღარიბაშვილი, ვახტანგ გომელაური და მთავრობა. ისინი თქვენ უნდა გადააყენოთ, თუ რამის თავი გაქვთ. რაც შეეხება პასუხისმგებლობებს, პასუხისმგებლობა დადგინდება გამოძიების შედეგად. პირველი შედეგები აჩვენებს იმას, რომ, სავარაუდოდ, არავითარი მიზეზშედეგობრივი კავშირი 5 ივლისსა და გარდაცვალების ფაქტს შორის არ უნდა არსებობდეს. ეს ვარაუდია. დაველოდოთ გამოძიებას და პასუხისმგებლობები მერე უნდა ვეძებოთ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

კულტურის მინისტრმა 22 ივლისს სენაკში რეაბილიტირებული თეატრის შენობა გახსნა. ჟურნალისტების შეკითხვამ თეა წულუკიანი ისე გააღიზიანა, რომ მთავარი არხის წარმომადგენელს ხელიდან მიკროფონი გამოჰგლიჯა.

წულუკიანმა მიკროფონი, სავარაუდოდ, ღონისძიების შემდეგ თან წაიღო.

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც წულუკიანი აკეთებს იმას, რისი წარმოდგენა მეც კი არ შემეძლო მასზე...

ასე აფასებს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ემა გოგოხიასთვის თეა წულუკიანის მიერ მიკროფონის წართმევის ფაქტს.

ნიკა გვარამია დანაშაულის ნიშნებზე საუბრობს და ამბობს, რომ მომხდარზე რეაგირებისთვის საქართველოს პროკურატურას მიმართავს.

– ეს ის შემთხვევაა, როდესაც წულუკიანი აკეთებს იმას, რისი წარმოდგენა მეც კი არ შემეძლო მასზე. ვერ გავიცინებ, გულწრფელად გეტყვით, იმიტომ, რომ ეს ქალი არის ქვეყნის პირველი ვიცეპრემიერი და, უბრალოდ, ჩემს კვალიფიკაციას სცდება ამ საქციელის შეფასება. ეს არ არის ჯანსაღი ადამიანის საქციელი, სამწუხაროდ, მიწევს ამაზე საუბარი, მაგრამ მე უფრო მანაღვლებს ის, რომ ეს არის საქართველოს სახე – მთავრობა მთელი შემადგენლობით და პირველ ვიცეპრემიერი – განსაკუთრებით.

ეს საქციელი არის ორი დანაშაულის შემცველი: ერთია ძარცვა, პირდაპირ, ღია ძარცვა და მეორეა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლა. ორივე ერთად საკმაოდ ბევრ წელს ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ქალბატონო წულუკიანო, ჩვენ მივმართავთ აუცილებლად პროკურატურას ამ მიკროფონის ძარცვისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის გამო. ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა ეს მიკროფონი და სჯობს, რომ დაუყონებლივ დააბრუნოთ.

ამ დანაშაულის ხანდაზმულობა გავრცელდება მათ შორის იმ დროს, როცა თქვენ მინისტრი არ იქნებით და ნამდვილად არ გისურვებთ, რომ საკუთარი წლები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაატაროთ, მით უმეტეს, ასეთი კომიკური მიზეზით, – ამბობს ნიკა გვარამია.

ლევან ხაბეიშვილი: „დისერტაციას დავიცავ, როგორ გამდიდრდა კალაძე მერობის დროს“

– პოლიტიკურ პარტიებს შორის კი არა, არჩევანი გვაქვს ძალიან მარტივი – „ადნაკლასნიკებსა“ და „ფეისბუქს“ შორის არის არჩევანი გასაკეთებელი, „მოსკვიჩსა“ და „მერსედესს“ შორის, რუსეთსა და დასავლეთს შორის.

ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიციამ თვითმმართველობის არჩევნები ისე უნდა მოიგოს, „ქართულ ოცნებას“ 5-6%-იანი გაყალბება აღარ ეყოს.

– მითხარით, 4 მილიარდის რა მივიღეთ დედაქალაქში და მე მოგიყვებით, რა მიიღო კალაძემ, ოღონდ დისერტაციას დავიცავ, როგორ გამდიდრდა კახი კალაძე, როგორც ენერგეტიკის მინისტრობის დროს, ისე დედაქალაქის მერობის პირობებში.

პოლიტიკურ პარტიებს შორის კი არა, არჩევანი გვაქვს ძალიან მარტივი, კიდევ უფრო მარტივად ვიტყვი, – „ადნაკლასნიკებსა“ და „ფეისბუქს“ შორის არის არჩევანი გასაკეთებელი, „მოსკვიჩსა“ და „მერსედესს“ შორის, რუსეთსა და დასავლეთს შორის.

მე მგონია, უმარტივესია არჩევანი, ამის უკან სახელებსა და გვარებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს. დარწმუნებული ვარ, ჩემი ხალხის გონიერებაში, ქართველი ხალხი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, ეს არჩევნები უნდა მოვიგოთ ისე, „ქართულ ოცნებას“ 5-6%-იანი გაყალბება აღარ ეყოს, – განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

გახარია თბილისის მერობის კანდიდატად არჩილ არველაძის წარდგენას აპირებს

პარტია „საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ქემოკლიძემ „პალიტრანიუსის“ ეთერში დედაქალაქის მერობის კანდიდატზე ისაუბრა.

კითხვაზე კი, განიხილება თუ არა არჩილ არველაძე მერობის კანდიდატად, პასუხობს, რომ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

– ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა და ჩემი ღრმა რწმენით უახლოეს რამდენიმე კვირაში, ალბათ, ეს ყველაფერი დაკრისტალდება და დარწმუნებული ვარ, რომ კონკრეტული კანდიდატი გეცოდინებათ.

განიხილება ყველა იმ ადამიანის კანდიდატურა, რომელიც იქნება პოტენციურად ძლიერი ოპონენტი და რომელიც იქნება საკმაოდ სიღრმისეულად ანგარიშგასაწევი ძალა ქალაქ თბილისის მერის პოსტზე.

მე მაქვს პატივი, რომ ბატონ აჩის პირადად ვიცნობდე და ის არის ძალიან ღირსეული ადამიანი და ძალიან კარგი პიროვნება.

ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ადამიანს, რომელიც ღირსეული ოპონენტი იქნება ბატონი კალაძისთვისაც და არამარტო კალაძისთვის. იქ, სავარაუდოდ, იქნებიან ის კანდიდატები, რომლებსაც დაასახელებს ოპოზიცია და ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ღირსეულ პოლიტიკურ ბრძოლაში ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ ყველას და, რაც მთავარია, გავიმარჯვოთ, – აცხადებს ქემოკლიძე.

მარნეულში მკვლელობის საქმეზე დაკავებულებს ბრალდება წარუდგინეს

საქართველოს პროკურატურამ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სარალში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ე.ა.-ს ბრალი დამამძიმებელ გარემოებებში, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარების მუხლებით წარუდგინა.

პროკურატურამ ასევე ბრალდებულის ე.ა.-ს მამის ზ.ა.-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე ტ.პ.-ს, ხოლო სხვისი ნივთის დაზიანებისთვის ი.პ.-ს ბრალდება წარუდგინა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 20 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სარალში ე.ა-მ, შერიგებაზე უარის გამო შურისძიების მიზნით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღიდან ყოფილი მეუღლის – გ.პ.-ს, მეუღლის ძმის – ა.პ.-ს, მეუღლის მამის – ი.პ.-ს და დედის – ს.ა.-ს მიმართულებით, დამიზნებით, რამდენიმე გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სროლის შედეგად გ.პ.-მ და ი.პ.-მ სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები მიიღეს და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალნენ, ხოლო ს.ა. და ა.პ. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მომხდარი დანაშაულის შემდეგ, გარდაცვლილების ნათესავები ტ.პ. და ი.პ. სხვა პირებთან ერთად მივიდნენ ე.ა.-ს საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც ტ.პ.-მ შურისძიების მიზნით, ე.ა.-ს მამას ზ.ა.-ს სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა, ხოლო ი.პ.-მ ეზოში გაჩერებული ორი ავტომანქანა დააზიანა.

სამართალდამცველებმა ე.ა., ტ.პ. და ი.პ. იმავე დღეს დაიკავეს. ე.ა.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ1“ (განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით) და „ვ“ (განზრახ მკვლელობა ოჯახის წევრის მიმართ) ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა), 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ1“ (განზრახ მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით) და „ვ“ (განზრახ მკვლელობის მცდელობა ოჯახის წევრის მიმართ) ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახით 16 წლიდან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ტ.პ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო ი.პ.-ს 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება) წარედგინა ბრალდება, რაც ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნიკა მელიას სასამართლოზე ბრალდების 3 მოწმე დაიკითხა

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის სამი მოწმე დაიკითხა.

სხდომაზე ის სამართალდამცველები გამოიკითხნენ, რომლებმაც 20 ივნისის აქციაზე გარკვეული დაზიანებები მიიღეს.

მელიას ადვოკატის გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, არც ერთ მოწმეს ნიკა მელიას მხრიდან აქციაზე რაიმე სახის მოწოდება არ გაუგია და მასთან არც რაიმე სახის შემხებლობა ჰქონიათ.

– სასამართლოზე გამოცხადდნენ ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ 20 ივნისის აქციაში. არცერთ მათგანს არაფერი უთქვამს ნიკა მელიაზე, არც მისი მხრიდან რაიმე სახის მოწოდება გაუგიათ, არც უშუალო შემხებლობა ჰქონიათ. უბრალოდ ეს იყვნენ მოწმეები. ათეულობით ასეთი მოწმე ჰყავს ბრალდების მხარეს შეყვანილი მოწმეთა სიაში. უბრალოდ მათ აღნიშნეს ფაქტი, რომ იყო დაძაბულობა და მიიღეს გარკვეული



დაზიანებები, თუმცა რა კავშირი ჰქონდა ამას ნიკა მელიასთან, ვერცერთმა მათგანმა ვერ განმარტა, – განაცხადა გიორგი კონდახიშვილმა.

ნიკა მელიას საქმეზე შემდეგი სასამართლო სხდომა მიმდინარე წლის 9 სექტემბერს ჩაინიშნა.

ნიკა მელიას ბრალი 20 ივნისის საქმეზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მისი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით აქვს წარდგენილი.

„რუსთავი 2“-ისა და „ტვ პირველის“ ოპერატორებზე ძალადობის ფაქტებზე ბრალდებულებს პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რომან ხორავას გადაწყვეტილებით, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის დროს „რუსთავი 2“-ისა და „ტვ პირველის“ ოპერატორებზე ძალადობის ფაქტებზე ბრალდებულებს უშანგი დათუნაშვილსა და ირაკლი წიგნაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

– ძალადობა მიუღებელია – ორი აზრი არ არსებობს, – განაცხადა მოსამართლე რომან ხორავამ.

პატიმრობის შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე პროკურორებმა დაუყენეს, დაცვის მხარეკი ითხოვდა, რომ ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო გამოეყენებინათ.

ბრალდებულ ირაკლი წიგნაძის ადვოკატმა გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა და მოსამართლის გადაწყვეტილებას „დაუსაბუთებელი“ უწოდა. მან მოსამართლეს მიმართა და განაცხადა, რომ მისგან „მეტს არაფერს მოელოდა“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის დროს „რუსთავი 2“-ის ოპერატორზე ძალადობის ფაქტზე ერთი პირი დაიკავეს. შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, „ცისფერი გალერეის“ მიმდებარედ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„ტვ პირველის“ ოპერატორის მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმეში ბრალდებული სამართალდამცველებმა 21 ივლისს დაიკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.წ.-მ 5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, რევაზ თაბუკაშვილისა და გიორგი ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე, „ტვ პირველის“ ოპერატორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გორში ვალერი ნაცვლიშვილის მკვლელობისთვის ზაურ მაჭარაშვილს 25 წელი მიუსაჯეს

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არაერთგზის ჩადენილი მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარებისთვის ბრალდებულ 75 წლის ზაურ მაჭარაშვილს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2021 წლის 19 აპრილს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბაში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, განზრახ მკვლელობის მომზადებისთვის ნასამართლევმა ზაურ მაჭარაშვილმა, წარსულში არსებული უთანხმოების გამო, შურისძიების მოტივით,

ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა ვალერი ნაცვლიშვილს, რომელიც მიყენებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

„სამართალდამცველებმა ზ.მ. იმავე დღეს დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით (არაერთგზის ჩადენილი განზრახ მკვლელობა, ასევე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულ ზ.მ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ზ.მ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენებით, 25 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

„ცნობილი რესტორნის მფლობელმა 14 წლის ბავშვზე სექსუალურად იძალადა“

„პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობის საქმე.

14 წლის გოგონა ერთ-ერთი ცნობილი რესტორნის მფლობელმა მიმტანად დაასაქმა, რის შემდეგაც მასზე სექსუალურად იძალადა.

თავად ბავშვის ჩვენებით ირკვევა, რომ არასრულწლოვანზე რესტორნის მფლობელმა დ.ც.-მ მაშინ იძალადა, როდესაც გოგონა სამსახურის შემდეგ საკუთარი ავტომობილით სახლში მიჰყავდა. არასრულწლოვანმა მომხდარის შესახებ დედას უამბო, რის შემდეგაც ბრალდებული დაიკავეს. მას სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„პრაიმტაიმი“ რესტორნის ადმინისტრაციას დაუკავშირდა და ჰკითხა, რატომ მუშაობდა 14 წლის ბავშვი მიმტანად, არღვევდა თუ არა რესტორანი ბავშვის უფლებებს და როგორ გახდა რესტორანში დასაქმებული არასრულწლოვანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. რესტორანში განმარტეს, რომ აღნიშნული ფაქტის შემდეგ დაწესებულების მენეჯმენტი მთლიანად შეიცვალა, ხოლო ახალი მენეჯმენტი საქმის დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

ბრალდებულის ადვოკატი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უდანაშაულოა და მას ეს ყველაფერი მოუწყვეს, თუმცა თუ ვის ან რატომ შეიძლება დაედო ხელი უდანაშაულო დ.ც.-სთვის, ამას ადვოკატი არ აკონკრეტებს. ირკვევა, რომ საქმეში მტკიცებულების სახით დევს ვიდეოჩანაწერები, სადაც არასრულწლოვნის ემოციებია ასახული. ვიდეოში ჩანს, როგორ ტირის და განიცდის მომხდარს 14 წლის გოგო.

– ეს ვიდეოები მე ვანახე ფსიქოლოგებს. დარწმუნებული ვარ და ამას დავამტკიცებ, რომ ეს ყველაფერი არის დადგმული და მოწყობილი. დანიშნულია ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ასევე მოთხოვნილი გვაქვს გამავალი ზარების ამონაწერი, თუმცა ჩვენ ამ მტკიცებულებების მოპოვებაში შეგნებულად გვეშლება ხელი. დ.ც.-ს არანაირად არ უძალადია ბავშვზე. პირიქით, გოგონა მას ეუბნებოდა, რომ დედა აიძულებს მუშაობას, რის გამოც თავის მოკვლა უნდა. მან ცადა ბავშვის დამშვიდება და დარწმუნება, რომ ცუდი არაფერი ჩაედინა. ამ დროს თვითონ ბავშვი ჩაეხუტა მას მამაშვილურად. დ.ც.-ს მხრიდან არავითარ გარყვნილ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. თავად ამ ბავშვის დედამ კი იძალადა დ.ც.-ს ოჯახის წევრებზე, ცემა 9 წლის ბავშვი და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დედა, თუმცა ამაზე არანაირი რეაგირება არ ყოფილა, – განაცხადა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადვოკატმა.

მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებელს მოსწავლის მიმართ სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, 64 წლის მასწავლებელმა თავის მოსწავლეზე სექსუალურად იძალადა. შემთხვევა სკოლაში მოხდა.

აღნიშნული მას შემდეგ გახმაურდა, რაც დაზარალებული გოგონას დედამ სკოლის დირექციას მიმართა.

მომხდარს ადასტურებს სკოლის დირექტორიც.

მისი თქმით, სკოლაში საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 138-ე მუხლით დაიწყო, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს.

ხობში შშმ პირი გააუპატიურეს

ხობში შშმ პირი გააუპატიურეს. პიროვნება, რომელმაც არასრულწლოვანი შშმ პირი გააუპატიურა, დაკავებულია. 50 წლამდე მამაკაცი ძალადობის შემთხვევისას ოჯახის წევრმა შენიშნა, რის შემდეგაც პოლიციას მიმართა.

მოძალადე კაცი ექსპერტიზის შემდეგ დაიკავეს. ის დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სსკ-ის 137-ე მუხლით მიმდინარეობს.

„დაინახა, როგორ გადმოექანა და ჩავარდა“

ბორჯომში ახალგაზრდა ქალი კლდიდან გადავარდა

ბორჯომში, არდაგანის დასახლებაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მოპირდაპირე კლდიდან ადამიანი გადმოვარდა.

შემთხვევა 22 ივლისს, დაახლოებით 12:00 საათისთვის მოხდა.

ტელეკომპანია „ბორჯომთან“ ყვებიან, რომ ერთ-ერთმა ადამიანმა კორპუსიდან დაინახა, როგორ გადმოექანა ადამიანი კლდიდან – „არ იცის, ქალი იყო თუ კაცი, რა ასაკის ან ვინ იყო, უბრალოდ, დაინახა, როგორ გადმოექანა და ჩავარდა“.

მოგვიანებით კლდიდან გადმოვარდნილი ადამიანი მაშველებმა გარდაცვლილი ნახეს. ორსაათიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ ახალგაზრდა ქალი მათ უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

ბათუმის ბულვარში კაცი მოკლეს

ბრალდებული მეორე სართულიდან გადახტა

ბათუმის ბულვარში 21 ივლისს, ღამით, კაცი დანით დაჭრეს, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა.

მკვლელობაში სავარაუდო ბრალდებული ერთ-ერთი შენობის მეორე სართულიდან გადმოხტა.

ვარდნისას მას დაზიანებები არ მიუღია, თუმცა ის სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში მაინც გადაიყვანა, მას სავარაუდოდ თვითდაზიანებები აქვს მიყენებული.

ახალგაზრდა მამაკაცი კლინიკაში სამართალდამცველთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მკვლელობა ბათუმის ძველ ბულვარში გვიან ღამით მოხდა. 20 წლის ახალგაზრდამ 60 წლის მამაკაცს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მუცლის არეში მიაყენა და ადგილიდან მიიმალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბათუმში, ძველი ბულვარის ტერიტორიაზე, კაფე-ბარის დაცვის თანამშრომლის, 60 წლამდე მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებული დაიკავეს.

უწყების ცნობით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული დ.დ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ბათუმში დაიკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც შსს-ში განმარტავენ, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ივლისს, ურთიერთშელაპარაკებისას, ბათუმში მდებარე ერთ-ერთი კაფე-ბარის დაცვის თანამშრომელი – 1964 წელს დაბადებული ჯ.ბ., ამავე ობიექტის ტერიტორიაზე, ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დაიკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ზელენსკი ვაშინგტონში ოფიციალურად დაპატიჟეს

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ვაშინგტონში ოფიციალურად მიიწვიეს. ამის თაობაზე ინფორმაცია თეთრი სახლის საიტმა გაავრცელა. თავად ბაიდენმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– სიხარულით ვუმასპინძლებ აშშ-ში ჩემს უკრაინელ კოლეგას. მისი ვიზიტი ნათლად გვიჩვენებს იმ მხარდაჭერას, რითიც აშშ-ში უკრაინა სარგებლობს, – თქვა აშშ-ის პრეზიდენტმა.

თავად ზელენსკიმ განაცხადა, რომ აშშ-ის მხარდაჭერის იმედი აქვს.

– ვიმედოვნებ, რომ ჩემი ვიზიტი ვაშინგტონში უკრაინის დამოუკიდებლობას განამტკიცებს, – თქვა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტი აშშ-ში 30 აგვისტოს ჩავა.

მაკრონს მაროკოს სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ?

გაზეთ „მონდის“ ცნობით, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მაროკოს სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ.

მაკრონზე თვალთვალისათვის ჯაშუშური პროგრამა პეგასუსი გამოიყენებოდა. მაკრონის ტელეფონს უსმენდნენ, მისი მიმოწერაც კონტროლდებოდა.

მაროკოს დაზვერვა საფრანგეთის მთავრობის კიდევ რამდენიმე წევრსა და 15 სახელმწიფოს მეთაურს უთვალთვალებდა.

მოსკოვში ნავალნის შტაბის 2 თანამშრომელი დააკავეს

მოსკოვში ალექსეი ნავალნის ორგანიზაციის ვორონეჟის ფილიალის შტაბის ორი თანამშრომელი, კაპინოსოვა და ახმედულოვი, დააკავეს.

ორივეს დაპატიმრება გულმოდგინედ მზადდებოდა. მათ უთვალთვალებდნენ, შემდეგ კი აიყვანეს.

დაკავებულების ადვოკატმა სალამოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კაპინოსოვასა და ახმედულოვის დაკავება პირდაპირ კავშირია ნავალნის წინააღმდეგ წამოწყებულ პროვოკაციასთან.

საუბარია ბრალდებაზე თაღლითობის შესახებ, რომელიც რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა წაუყენა ნავალნის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა მკვლელობის შემდეგ სახე შეიცვალა და მრავალი წელი პოლიციას ემალებოდა

იაპონიაში მამაკაცმა ჩადენილი სასტიკი მკვლელობის შემდეგ გარეგნობა შეიცვალა, რათა სამართალდამცავ ორგანოებს დამალვოდა.

2007 წლის 24 მარტს ტოკიოში 22 წლის ბრიტანელი ლინდსი ჰაკერი გააუპატიურეს და მოკლეს. გოგონასთან სადარბაზოსთან ახალგაზრდა მამაკაცი მივიდა თხოვნით, რომ ის მას ინგლისურის სწავლაში დახმარებოდა. სტუდენტი გოგონა ამ თხოვნაზე დასთანხმდა. ოთხი დღის შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მას შემდეგ გოგონა გაუჩინარდა.

მსხვერპლის გაშიშვლებული სხეული ერთიანად გასისხლიანებულ სააბაზანოში აღმოაჩინეს, რომელიც მიწითა და ქვიშით იყო სავსე. ადგილისა და ცხედრის დათვალიერება იმაზე მეტყველებდა, რომ გოგონა მოკვლამდე გააუპატიურეს. ჰოკერის სხეულზე უამრავი ჩალურჯება და სხვა დაზიანება აღმოაჩინეს, თმა კი გადაპარსული ჰქონდა.

ცხელ კვალზე მოხერხდა სავარაუდო მკვლელის ვინაობის დადგენა. ის 28 წლის ტაცუი იჩიხაში აღმოჩნდა. როდესაც პოლიცია ეჭვმიტანილის სახლში მივიდა, მან მიმალვა მოახერხა. დიდი ხნის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც მკვლელობას იძიებდნენ, ეჭვმიტანილის დაკავებას ვერ ახერხებდნენ, იმისდა მიუხედავად, რომ მისი ფოტოსურათები მთელ ქალაქში იყო გამოკრული და ვერც ჯილდოს დაწესებამ გამოიღო შედეგი.

სამართალდამცავებს ინფორმაცია იჩიხაშიზე პლასტიკურმა ქირურგმა მიაწოდა, რომლის პაციენტიც დამნაშავე აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი კუნძულ ოკინავაზე გაიქცა და იქ 14 თვე სამშენებლო კომპანიაში იმუშავა. მან სახის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა: ქირურგმა ცხვირის სიმაღლე აუწია, ჩამოუწია ქუთუთოები, ტუჩები გაუთხელა და ლოყაზე ხალები მოაშორა.

საბოლოოდ ეჭვმიტანილი რამდენიმე წლის შემდეგ ოსაკაში იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ის ოკინავაზე მიმავალ ბორანზე ასვლას ცდილობდა. ჩიბას სასამართლომ იჩიხაშის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხორდი კრუიფი: „ისეთ გუნდებს, როგორიც ბარსელონაა, დასვენების წლები არ აქვთ“

ბარსელონის სპორტულ დირექტორად ხორდი კრუიფი დაინიშნა, რომელმაც მარკასთან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა.

ხორდი კრუიფი:

– ევროპის ჩემპიონატის საყურებლად რაც შეიძლება ბევრს ვმოგზაურობდი, აქტიურად ვუყურებდი მატჩებს ტელევიზორშიც. ფეხბურთთან დაკავშირებულ ბევრ ადამიანს შევხვდი და დიდი ხნის შემდეგ კონტაქტები გავააქტიურე. თუმცა ამას საკუთარი სურვილით ვაკეთებდი და არა სამსახურებრივი მოვალეობის გამო. ბარსელონაში მუშაობას აგვისტოდან ვიწყებ.

– რას ფიქრობთ პედრიზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდად დაასახელეს?

– როდესაც ახალგაზრდა ხარ, იმაზე არ ფიქრობ, რაზეც – 25 ან 30 წლის ასაკში. ამ ასაკში პედრი ზეწოლის გარეშე თამაშობს, რაც საშუალებას აძლევს, უფრო თავისუფლად იმოქმედოს, ზედმეტი დატვირთვის გარეშე. ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, შესანიშნავია და ცალკე აღნიშვნას იმსახურებს. პედრი ძალიან ახალგაზრდაა და, ცხადია, რაღაცები გასაუმჯობესებელი აქვს, თუმცა, თუ იმ გზას გაჰყვება, რომელზეც დგას, შეუძლია, საკუთარი ერა შექმნას კლუბში, ნაკრებში და ევროპულ საფეხბურთო დონეზე.

– უნდა წასულიყო თუ არა პედრი ოლიმპიადაზე?

– როდესაც 18 წლის ხარ, დასვენებაზე არ ფიქრობ. შენ მხოლოდ იმ ოცნებებით სიამოვნებაზე ხარ კონცენტრირებული, რომლებიც უკვე 6 წლის ასაკში გქონდა, როდესაც პლასტიკური ბურთით თამაშობდი, ნათურას ამსხვრევდი და სანაცვლოდ მშობლებისგან რისხვას იღებდი. ეს ბავშვის ოცნებაა, რომლის ასრულებასაც პედრი ბარსაში ჩატარებული სეზონისა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ცდილობს. მიუხედავად ამისა, კლუბის პოზიციასაც ვიზიარებ, რომელსაც სურს, რომ ფეხბურთელი დაასვენოს და ტრავმის საფრთხე აარიდოს, რადგან ფეხბურთელებს შვებულება არ აქვთ, ან ის გუნდისთვის მნიშვნელოვანი ეტაპის დაწყებას ემთხვევა.

– რა როლი გექნებათ ბარსაში?

– ძალიან ბევრი მიმოგზაურია და სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა როლი მაქვს მორგებული. მწვრთნელებთან მუშაობის კარგი გამოცდილება მაქვს. მრავალი სახის მოლაპარაკებაში მიმიღია მონაწილეობა, საიდანაც ბევრი ვისწავლე. ტრანსფერებსა და სპორტული სტრუქტურის ფორმირებაზეც ვყოფილვარ პასუხისმგებელი. ასევე, მწვრთნელიც გახლდით. გუნდშიც სწორედ იმისთვის მოვედი, რომ მას ყველაფერში დავეხმარო, რაც საჭირო იქნება.

– შეგეძლოთ თუ არა ბარსელონაში უფრო ადრე მისვლა?

– ბოლო 4-5 წლის განმავლობაში გუნდიდან მუდმივად მქონდა შემოთავაზებები, თუმცა მაშინ სხვა კლუბებთან კონტრაქტი მაკავშირებდა და მინდოდა, სწორი ვყოფილიყავი.

– არის თუ არა მოსალოდნელი კუმანის შეცვლა?

– მსგავსი აზრი თავში არასდროს მომსვლია. ეს რომ ჩემი სურვილი ყოფილიყო, შეთავაზებას მანამდეც დავთანხმდებოდი. თუმცა, როგორც ვთქვი, ეს ჩემი გეგმის ნაწილი არ ყოფილა. რონალდს დაახლოებით 30 წელია, ვიცნობ და იცის, რომ ჩემი სახით გვერდით ჰყავს ადამიანი, რომელიც მას დაეხმარება. არა მგონია, მწვრთნელად ჩემს დანიშვნაზე ლაპორტას ეფიქრა. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არასწორად მიმაჩნია, მე კი ჩემი პრინციპები მაქვს.

– როგორ შეაფასებდით კუმანის მუშაობას გასულ სეზონში?

– პირველ რიგში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ინსტიტუციური სტაბილურობის არარსებობა. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა: ეკონომიკური პრობლემები, პანდემია, დროებითი ხელმძღვანელობა, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებას ხელს უშლიდა. ეს იყო ძალიან არასტაბილური სიტუაცია, რომელშიც რონალდი ერთადერთი ხილული ხელმძღვანელი გახლდათ.

– რას იზამდა მამათქვენი ამ მდგომარეობაში?

– ამის დადგენა ძალიან რთულია. ის ახალგაზრდებს ყოველთვის ენდობოდა, თუმცა გამოცდილ, გამოუცდელ და საშუალო ასაკის ფეხბურთელებს შორის ბალანსის დაცვა აუცილებელია. ბევრმა ახალგაზრდამ, რომლებიც შარშან ბარსას შემადგენლობაში თამაშობდნენ, დიდი ნახტომი გააკეთეს. როცა მე-2 დივიზიონში ასპარეზობ, მედიის ზეწოლასა და 25.000 გულშემატკივრის თანდასწრებით თამაშს მიჩვეული ხარ. თუმცა ზოგიერთ მათგანს ამის საშუალება არ ჰქონდა. რეალურად, ნახტომი ძალიან დიდი იყო და ეს ნორმალური სურათი არ არის. პირველ გუნდში მოსახვედრად გარკვეული პროცესების დასრულებაა საჭირო. შარშან კი ფეხბურთელთა ნაწილმა ისინი გამოტოვა.

– ხართ თუ არა გუნდის ფილოსოფიის დამცველი?

– გასულ სეზონში სისტემა შეიცვალა, თუმცა ეს არა სიამოვნებით, არამედ აუცილებლობით იყო გამოწვეული. თუ ზოგიერთ ასპექტში ბალანსის ნაკლებობაა, მწვრთნელმა გამოსავალი უნდა მოძებნოს. არ ვიცი, არის თუ არა სიტყვა „დამცველი“ შესაბამისი. თუმცა აქ იმისთვის ვარ, რომ ყველაფერი გავაკეთო, რაც საჭიროა. სწორედ ამიტომ მაქვს მოკლევადიანი კონტრაქტი. შორეულ პერსპექტივებზე ზრუნვა ჩემი ვალდებულება არ არის.

– გახანგრძლივდება თუ არა მესის კონტრაქტი?

– გარედან აზრის დაფიქსირება რთულია. ჯერ გუნდს არ შევერთებივარ. თუმცა ესპანური ფეხბურთის წესები ნათელია, ლეოს შესანარჩუნებლად დიდი შრომაა საჭირო. დადებითი მხარე ისაა, რომ მას სხვა გუნდთან არ გაუფორმებია ხელშეკრულება, რაც აჩვენებს, რომ დარჩენის სურვილი რეალურია. იმედია, ასეც მოხდება.

– როდის იქნება ბარსა ჩემპიონთა ლიგის მოგების ფავორიტი?

– ისეთ გუნდებს, როგორიც ბარსელონაა, დასვენების წლები არ აქვთ. აქ ზეწოლა ყოველთვის დიდია. ფეხბურთში ვერაფერს დაგეგმავ. გუნდში რთული ვითარებაა, თუმცა მყისიერი შედეგია საჭირო. ეს ისეთი გუნდების სიდიადეა, როგორიც „ბლაუგრანაა“.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რა ელის ხელოვნების მუზეუმს?

მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტრომ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ „ლადო გუდიაშვილის ქუჩის გასწვრივ მდებარე შენობის ფლიგელის გამაგრება დაკავშირებული იქნება ძალიან დიდ ტექნიკურ სირთულეებთან და დანახარჯებთან და მისი გაძლიერება, სავარაუდოდ, არ იქნება რენტაბელური“, საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი ამ უნიკალური შენობის დანგრევის შესახებ.

თამარ ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე:

– ამ შენობაზე კონსტრუქტორები, შპს „კარიატიდა“ წერს და შემდეგ კულტურის სამინისტრო თავის განცხადებაში იმეორებს, „შენობის არსებული ნაწილის გაძლიერება და გამაგრება დაკავშირებული იქნება ძალიან დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან და დანახარჯებთან, მაგრამ შესაძლებელია“-ოოო!!!.

თუმცა „ამ ნაწილის გაძლიერება, სავარაუდოდ, შესაძლებელია, არ იყოს რენტაბელური“-ოოო!

არა – რენტაბელურიო. ხალხო, არა-რენტა-ბელუ-რიო!!

კონსტრუქტორების ერთი ჯგუფის მოსაზრების გამო, რომელთაც 1830-იანი წლების თითო-ოროლად შემორჩენილი უმნიშვნელოვანესი შენობის გამაგრება არარენტაბელურად მიაჩნიათ, უნდა დავანგრიოთ შენობა!

აბა რა, კიდევ მეტად გავაღარიბოთ, გა-ვა-ძვალ-ტყავოთ თბილისი, მალე, სულ მალე არაფერი დარჩება მისგან, ა რ ა ფ ე რ ი!

მერე ირბინეთ ჩოხებით რუსთაველზე და დაიცავით ქართველობა!

დიდი ხანია, ამ შენობას ბოლო მოუღეს, დასცეს, რა მინის ცუნამი თავზე!

თუმცა არც ეს აღმოჩნდა საკმარისი!

ჩვენი კონსტრუქტორები და საჯარო მოხელეები რომ მიუშვა, ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ არც რომში, არც ლონდონში და არც პარიზში!

მათი მოსაზრებით, არც კოლიზეუმის გამაგრება-შენარჩუნება და არც პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა არ იქნებოდა რენტაბელური!

რენტაბელურია კორპუსი და შოფინგ მოლი!

მოკლედ კი, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც იმის ტრაკიც კი არა აქვს, რომ უდიდესი ისტორიის მქონე სახელმწიფო მუზეუმის შენობის აღდგენაზე არ დავწეროთ – ფული არ გვაქვს, იაფში რაც გამოვა, ის გაგვიკეთეთოოოო! ხოდა, ტრაკი რომ არ გვაქვს, იმიტომაც დავსდევთ და ვღელავთ სხვის ტრაკებზე, აი, მაგიტომ!

სოფო კილასონია, ხელოვნებათმცოდნე:

– ხელოვნების მუზეუმს ანგრევს სამინისტრო არარენტაბელურობის გამო. დასკვნას კი, რამდენიმე თვეა, გულმოდგინედ ამზადებენ. ახლა კი ყველას თვალწინ გაიხსნა წულუკიანის მინისტრობის მთელი კონცეპტუალური კვანძი და ამ კონცეფციის ბანალური, ვერაგი და ვულგარული სახე. მძიმე მოსასმენი ინფორმაცია კი არის, მაგრამ ეს სიცხადე მაინც შესანიშნავია.

პ.ს. არა, ჩვენ ჩუმად ვიყოთ, ეგებ კონკურსში გავიმარჯვოთ, ცოტა ფული გვიწილადონ. მერე მადლობები ვწეროთ. ფული, რომელიც ისედაც იყო და არის ჩვენი.

ეკა კიკნაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეის მმართველი:

– ხელოვნების მუზეუმის ისტორიული შენობა – ევროპული არქიტექტურის ერთ-ერთი უადრესი ნიმუში თბილისში – აგებულია 1838 წელს და ის თბილისის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ობიექტია.

ხელოვნების მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტში, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემუშავდა, შენობა განხილულია მუზეუმის კოლექციებთან გათანაბრებულ ფასეულობად და მასზეა მორგებული განახლებული მუზეუმის კონცეფცია. ამავე დროს, ხელოვნების მუზეუმი არის „მუზეუმების ქუჩის“ კონცეფციის უმთავრესი კომპონენტი, რომელიც დიმიტრი შევარდნაძის, ექვთიმე თაყაიშვილისა და მოგვიანებით შალვა ამირანაშვილის განუხორციელებელი გეგმა იყო და რომელიც დღეს, როგორც არასდროს, აქტუალურია, მით უფრო იმ სახეცვლილებების ფონზე, რომელიც ბოლო წლებში მუზეუმის მიმდებარე არემ განიცადა.

იმედს ვიტოვებ, რომ გაჟღერებული მოსაზრება, „მუზეუმისთვის ახალი შენობა გამოიძებნება, რადგან შენობის აღდგენა არარენტაბელურია“, არის წინასწარული და მას რეალობასთან კავშირი არ ექნება. ეროვნული მნიშვნელობის ძეგლთან მიმართებით „რენტაბელურობაზე“ არ მსჯელობენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საქართველოს 20 წლამდე ნაკრებმა თურქეთი დაამარცხა

თბილისში მიმდინარე ევროჩელენჯზე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა ქართველებმა იმ თურქეთს სძლიეს, რომელმაც პირველ ტურში ბულგარეთს აჯობა. საქართველოს ნაკრებმა მატჩის უმეტესი დრო გამართული, გააზრებული კალათბურთი ითამაშა და, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პერიოდში ჩავარდნა ჰქონდა, რეაბილიტაცია მოახდინა და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა – 77:69.

საქართველოს ნაკრებს 22 ქულით ლაშა მიქელაძემ ულიდერა, რომელიც ამპლუით ცენტრია, მაგრამ 4 სამქულიანი ჩააგდო. ზოგადად კი თურქეთთან მატჩში შორი სროლები იყო ჩვენი ნაკრების მთავარი კოზირი – მილოშ გლიგორიევიჩის შეგირდებმა 24 ცდიდან 14 სამქულიანი ჩააგდეს, რაც ნებისმიერი დონის გუნდისთვის ბრწყინვალე შედეგია.

თურქეთთან მატჩში მიქელაძე ხშირად ადიოდა პერიმეტრზე, საიდანაც მეტოქის ფარს – შორი სროლებით, დაცვას კი გამჭოლი პასებით ემუქრებოდა და საქართველოს ნაკრებსაც თამაში უადვილდებოდა.

მატჩის დასაწყისში ქართველებმა ყველა კომპონენტში მოიპოვეს უპირატესობა: საშუალოდანაც აგდებდნენ, სწრაფ შეტევებსაც ახორციელებდნენ და პერიმეტრს მიღმიდანაც აგდებდნენ. შედეგად ჩვენმა გუნდმა საწყისი პერიოდი 23:10 მოიგო და წარმატებით თამაში მე-2 ათწუთეულშიც გააგრძელა.

დიდ შესვენებაზე საქართველო უკვე 17 ქულით იგებდა და უპირატესობის ზრდა თამაშის განახლებისთანავე განაგრძო. ირაკლი სულხანიშვილის, ნიკოლოზ გაფრინდაშვილის, ანზორ ნადირაძის, რომან ჭინჭარაულის შედეგიანობით მე-3 პერიოდის მე-3 წუთისთვის გლიგორიევიჩის გუნდი 26 ქულას – 55:29 იგებდა. თურქეთს ერთადერთი გზა დარჩა: დაცვა გაემაგრებინა და შეტევაში მიზნისა და იღბლის იმედზე ყოფილიყო. ტაქტიკამ გაამართლა – საქართველოს ნაკრებმა დაახლოებით 5 წუთი ბურთი ვერ ჩააგდო, რა დროშიც თურქებმა ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეს. ამაში მათ შორი სროლები დაეხმარა და თამაშის მოგების შანსიც კი გაუჩნდათ.

ბოლო პერიოდში საქართველოს სოლიდური ლიდერობიდან 4 ქულა დარჩა (64:60) და კრიტიკულ მომენტში კვლავ მიქელაძემ იყოჩაღა, რომელმაც სამქულიანი ჩააგდო და უშედეგობის ნავსი გატეხა. ამას მოჰყვა სულხანიშვილის შორი სროლაც და ნიკოლოზ გაფრინდაშვილის ტაქტიკურად გამართული თამაში, რის შემდეგაც საქართველომ გამარჯვება გაინაღდა.

მიქელაძის 22 ქულის კვალზე გაფრინდაშვილმა 16 ქულა მიითვალა. 9 ქულა – ანზორ ნადირაძემ, ხოლო 8-8 ქულა ირაკლი სულხანიშვილმა და რომან ჭინჭარაულმა მოაგროვეს.

ჟიუდოისტებმა და ბასილაშვილმა მეტოქეები გაარკვიეს

23 ივლისს ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გახსნის ღონისძიებაზე ტყვიის სროლაში ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე კიდევ ერთ ოლიმპიურ ჩემპიონთან, ძალოსან ლაშა ტალახაძესთან ერთად საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშე იქნება.

აღსანიშნავია, რომ ნინო სალუქვაძე ერთადერთი ქალი სპორტსმენია ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, რომელიც მე-9 ოლიმპიურ თამაშებზე წარდგება.

სალუქვაძემ ტურნირის დაწყებამდე მორიგი ვარჯიში გამართა, ხოლო შეჯიბრებაში 25 ივლისს ამავე არენაზე 10 მეტრიდან პნევმატური პისტოლეტით სროლაში ჩაერთვება. სალუქვაძე 29 ივლისს 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაშიც იასპარეზებს.

ნინო სალუქვაძე:

– დამღლელი გზისა და საზღვარზე არსებული მკაცრი რეგულაციების გავლის შემდეგ იაპონიაში ჩავედით და აკლიმატიზაციის პროცესს გავდივართ. ჩვენი ექიმები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ეს რთული ეტაპი წარმატებით დავძლიოთ და შეჯიბრებებს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ, მაგრამ დრო ძალიან ცოტა რჩება. ეს ოლიმპიადა ჩემთვის რიგით მეცხრეა და, ალბათ, ყველაზე რთული. პანდემია სავარჯიშო და საშეჯიბრებო პროცესს სერიოზულ ზიანს აყენებს, მაგრამ ამ თვალსაზრისით ყველა ერთნაირ პირობებში ვართ.

ოლიმპიური გუნდის მედროშეობა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშე პირველად 2012 წელს ლონდონში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე ვიყავი. მეორედ ეს პატივი ტოკიოში ურთულეს ოლიმპიურ თამაშებზე მერგო.

საქართველო იაპონიაში გამოცდილი და ნიჭიერი ახალგაზრდების გუნდით არის წარმოდგენილი და თითოეული მათგანი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ქართველი გულშემატკივარი გაახაროს.

გუნდში ყველა ჯანმრთელადაა. სავარჯიშო პროცესში აქტიურად არიან ჩართულები და დანარჩენი უკვე უშუალოდ თამაშებზე გამოჩნდება. საქართველოს ოლიმპიური გუნდის თითოეულ წევრს წარმატებას ვუსურვებ.

შეგახსენებთ, რომ სალუქვაძე, პარალელურად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტია.

ამასობაში გაიმართა ძიუდოს ყველა წონითი კატეგორიის წილისყრა და, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ქართულ დელეგაციას ამ მხრივ გაუმართლა. მამაკაცთა შორის ყველა წონით კატეგორიაში მედლისთვის ბრძოლის რეალური კონტურები იკვეთება, რადგან უშუალო ფავორიტები თითქმის ყველა წონაში ბადის მე-2 მხარეს განთავსდნენ. თუ რა სინჯის მედლები იქნება, ამას უშუალოდ თამაშებზე ვნახავთ.

60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ლუხუმ ჩხვიმიანი პირველ წრეში ისვენებს, შემდეგ ბრიტანელ ეშლი მაკენზისა და აზერბაიჯანელ კარამატ ჰუსეინოვს შორის გამარჯვებულს შეხვდება, მეოთხედფინალში გასვლის შემთხვევაში კი მეტოქედ მასპინძელი ნაოშირა ტაკატო ეყოლება – ერთ-ერთი ფავორიტი, მაგრამ ჩვენებურს მედლისთვის ბრძოლა მაინც შეეძლება, რადგან ნაგების შემთხვევაშიც კი რეპეშაჟში გადაერთვება.

66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საქართველოს სახელს ვაჟა მარგველაშვილი დაიცავს, რომელიც პირველ წრეში ასევე თავისუფალია, მეორეში კი რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის სახელით მოასპარეზე იაკუბ შმაილოვსა და გერმანელ სებასტიან სეიდლს შორის მოგებულს დაეჭიდება. მთლიანობაში ისეთი წილისყრა დაუჯდა, მინიმუმ ნახევარფინალში გასვლა შესაძლებელია.

73 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ლაშა შავდათუაშვილი იჭიდავებს, რომელიც მეორე წრიდან ჩაერთვება საქმეში, მეტოქედ კი ბრაზილიელ ედუარდო ბარბოსასა და ფრანგ გილიომ ჩაინეს შორის მოგებულს შეხვდება. ბადე შავდათუაშვილსაც კარგი შეხვდა – ნახევარფინალამდე ფავორიტს არ დაეჭიდება.

81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ტატო გრიგალაშვილი გუამელ ჯოსტერ ანდრეუსა და ტაჯიკ აკმალ მუროდოვს შორის გამარჯვებულს ელოდება. ტატოს უფრო რთული ბადე აქვს და, შესაძლოა, მეოთხედფინალში ერთ-ერთ ფავორიტს, მონღოლ საიდ მოლაეს გადაეყაროს. თუმცა მედლისთვის ბრძოლა თამამად არის შესაძლებელი.

90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ლაშა ბექაურს მეორე წრეში პოლონელი პიოტრ კუჩერა შეხვდება. ფაქტობრივად, ნახევარფინალამდე ფავორიტთან არ იკვეთება, თუმცა, მეოთხედფინალში თუ უზბეკი დავლატ ბობონოვი დაუჯდა, საკმაოდ რთული ბრძოლა მოუწევს. მთლიანობაში უფრო კარგი ბადე აქვს, ვიდრე – ცუდი. ბექაურს შეუძლია მედლისთვის ბრძოლა.

100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ვარლამ ლიპარტელიანი მეორე წრეში პაკისტანელ შაჰ ჰუსეინ შანსა და ეგვიპტელ რამადან დარვიშს შორის მოგებულს შეხვდება. მეოთხედფინალში 3 სავარაუდო მეტოქიდან ყველა თანაბარია.

მძიმე წონაში გურამ თუშიშვილის მეტოქეს ტაჯიკი ტემურ რაჰიმოვი და კუბელი ენდი გრანდა გაარკვევენ. მეოთხედფინალშიც ისეთი მეტოქე მოჩანს, რომ ნახევარფინალში თავისუფლად შეუძლია გავიდეს. იქ კი მეტოქე სერიოზული ეყოლება – ან ფრანგი ტედი რინერი, ანაც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი ტამერლან ბაშაევი. მედლის შანსი აქაც არის.

ქალთა შორის 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ტატიანა ლევიცკა-შუკვანი პირველ წრეში ჰაიტელ საბიანა ანსტორს დაეჭიდება, გამარჯვების შემთხვევაში კი ფრანგი ამანდინ ბუშარი ელოდება.

57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოჭიდავე ეთერ ლიპარტელიანი ტურნირს ანგოლელი დიასონემა მუკუნგუით იწყებს. გამარჯვების შემთხვევაში გერმანელ ტერეზა სტოლს შეხვდება, რომელსაც თუ გასცდა, მედლის შანსი არის.

ძიუდოისტთა შეჯიბრება 24 ივლისს დაიწყება და ქართველთაგან პირველად ტატამზე ლუხუმ ჩხვიმიანი გავა.

გაიმართა ჩოგბურთელების ერთეულთა თანრიგის წილისყრაც. ჩვენთვის სპორტის ამ სახეობაში საინტერესო ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე იყო.

ქართველი ჩოგბურთელი პირველ წრეში ესპანელ რობერტო კარბალეს ბაენას დაუპირისპირდება, რომელიც რეიტინგში 90-ე ადგილზეა.

28 წლის ესპანელის ბარიერის დაძლევის შემთხვევაში ბასილაშვილი მეთექვსმეტედფინალში ტარო დანიელსა (110) და ლორენცო სონეგოს (26) შორის გამარჯვებულს შეხვდება. შემდეგ უკვე სავარაუდო მეტოქე ალექსანდრ ზვერევი იქნება, თუმცა იქამდე ჯერ 2 ეტაპია გასავლელი.

ბასილაშვილისთვის ეს მეორე ოლიმპიური თამაშებია. ჩვენებურმა 2016 წელს რიოშიც მიიღო მონაწილეობა და პირველივე წრეში პაბლო კუევასთან დამარცხდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

22 ივლისი
ფეხბურთი
ოლიმპიადა
ჯგუფები

ეგვიპტე-ესპანეთი	0:0
მექსიკა-საფრანგეთი	4:1
ახ.ზელანდია-ს.კორეა	1:0
კოტ დივუარი-ს.არაბეთი	2:1
არგენტინა-ავსტრალია	0:2
ჰონდურასი-რუმინეთი	0:1
იაპონია-ს.აფრიკა	1:0
ბრაზილია-გერმანია	4:2

21 ივლისი
უეფას ჩემპიონთა ლიგა

კაირათი-ცრ.ზვეზდა	2:1
მალმიო-ჰიკი	2:1
მურა-ლუდოგორეცი	0:0
ალოვანი-იანგ ბოიზი	0:0
ლეგია-ფლორა	2:1
ოლიმპიაკოსი-ნეფთჩი	1:0
პსვ-გალათასარაი	5:1

უეფას ჯონფეხენსიის ლიგა

ჩუკარიჩკი-სუმგაითი	0:0

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 2. ვეგეტატიური უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავალი; 3. საზეიმო წვეულება; 4. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 6. სხეულთა წონასწორობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 9. ორთქლის ან აირის სითხედ გადაქცევა; 10. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 11. ქონების პერიოდული აღწერა; 14. ლეო დელიბის ოპერა; 16. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 18. ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 20. თაბახის წიგნის ზომა; 23. ჩახურებული ფქვილი; 24. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 25. სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 26. გნოლის, კაკბის, ხოხბის ბარტყი.

თარაზულად: 7. კუჭქვეშა ჯირკვალი; 8. დიდი ძეგლი; 12. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 13. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 15. ვაშლის ღვინო; 17. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 19. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 21. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 22. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 27. უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; 28. რაიმე დანიშნულების საგანთა სრული შემადგენლობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სალათი; 2. იყალთო; 3. პანდემია; 4. ჩხოუში; 6. ზედაზენი; 8. ანდორა; 11. ხოდაბუნი; 12. ფოლორცი; 16. ჰერში; 17. მყესი; 18. ხირსა.

თარაზულად: 1. სპრინტი; 5. კრუზი; 7. კალმახი; 9. აფალინა; 10. წუმწუმა; 13. რევიზია; 14. ბორანი; 15. კობი; 19. ჰონვედი; 20. წყალტუბო; 21. ნინოშვილი; 22. ლიძავა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დოგმა; 2. სიამი; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. ჯუნო; 6. ინგლისი; 9. ჰიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოროჟიე; 14. ბაფტა; 16. სიამი; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. აუდი; 24. ფურია; 25. ჰაიტი; 26. ვანი.

თარაზულად: 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. ბაქია; 15. ხოტბა; 17. ფონოგრამა; 19. ფიატი; 21. ეფელი; 22. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1191

ევრო — 3.6787

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2934

100 რუსული რუბლი — 4.2265

ამინდის პროგნოზი 23 ივლისისათვის

სიმეონეს გრიზმანის დაბრუნება სურს

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ანტუან გრიზმანის ატლეტიკოში დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას გაუხარდება გრიზმანის ისევ თავის გუნდში ხილვა.

სიმეონეს აზრით, გრიზმანი ატლეტიკოს გააძლიერებს:

– გრიზმანი შესანიშნავი ფეხბურთელია და, დარწმუნებული ვარ, მას ისევ შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. გამიხარდება, თუ ანტუანი ატლეტიკოში დაბრუნდება, რადგან მისი შესაძლებლობები კარგად ვიცი.

რონალდუ, შესაძლოა, იუვენტუსში დარჩეს

კრიშტიანო რონალდუ, შესაძლოა, იუვენტუსში დარჩეს, რადგან მას ჯერჯერობით სხვა გუნდებისგან ისეთი წინადადებები არ მიუღია, რომლებიც მას დააკმაყოფილებდა.

რონალდუმ, შესაძლოა, ახალ კონტრაქტზეც იფიქროს, რადგან მას იუვენტუსთან ხელშეკრულება მომავალ ზაფხულში უმთავრდება. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რონალდუ, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნებულიყო.

ილაიშ მორიბას ყიდვა მანჩესტერ სიტის სურს

ბარსელონის ახალგაზრდა ნახევარმცველ ილაიშ მორიბათი მანჩესტერ სიტი დაინტერესდა და, შესაძლოა, მორიბამ ბარსელონა დატოვოს, რადგან ის კატალონიურ გუნდს ახალ კონტრაქტზე ჯერჯერობით ვერ უთანხმდება.

გარდა ამისა, სიტი მორიბას წელიწადში 6 მილიონს სთავაზობს და, ბუნებრივია, ბარსელონაში მას გაცილებით ნაკლები ანაზღაურება ექნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯუდ ლოუს ქალიშვილის იახტაზე ბიკინიში გადაღებულმა ფოტომ ფანები ააღელვა



ჰოლივუდის მსახიობის ჯუდ ლოუს 20 წლის ქალიშვილმა აირისმა გამოაქვეყნა საკუთარი ფოტოსურათი და ვიდეო, რომელშიც ის იახტაზე საცურაო კოსტიუმში გამოწყობილია გადაღებული. ეს ყოველივე მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სოციალურ ქსელში განთავსებულ სურათებზე 20 წლის მოდელი იახტაზე კანში დასვენების დროსაა აღბეჭდილი. ის იახტასა და წყალში გადაღებულია თეთრ-ყავისფერ ფერებში გადაწყვეტილ ბიკინიში. ამავე დროს მას ამშვენებს უამრავი აქსესუარი: მზის სათვალე, სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები და ჯაჭვი თეძოებზე. ფოტოსურათებმა და ვიდეომ მცირე ხანში 50 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ფანებმა აირისის გარეგნობა საკუთარ კომენტარებში შეაფასეს.

– აირის, შენ ჩემი ოცნების ქალიშვილი ხარ, – აღიარა ერთერთმა თაყვანისმცემელმა.

– შენ უბრალოდ გამაოგნებელი ხარ, – დაწერა მეორემ.

– შენ გასაგიჟებლად ლამაზი ხარ, ახლავე შეჩერდი! – აღნიშნა მესამემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 ივლისისათვის

ვერძი – თუ ახალი საქმის დაწყება გადაწყვიტეთ, არ გარისკოთ. უმჯობესია, ძველი საქმეები დაამთავროთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. დაკავდით სპორტით, მიიღეთ ახალი ინფორმაცია. გაიფართოვეთ თვალსაწიერი. **ტყუპები** – კრიტიკული პერიოდია. საქმიანი პარტნიორის მიერ დაშვებული შეცდომა დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, გეგმები ძირფესვიანად შეგეცვალოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებთან მიმართებით. **ლომი** – მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. ვერაფერს შეცვლით. **ქალწული** – ფინანსური კრიზისი უკან რჩება. თქვენი შემოსავალი მნიშვნელოვნად იზრდება. გელით სხვა სასიამოვნო სიახლეებიც. **სასწორი** – მეგობრებისა და ახლობლების რჩევები ფასდაუდებელ სამსახურს გაგიწევთ. ახალი იდეების რეალიზებას დაუყოვნებლივ შეუდექით. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. ახალგაცნობილი ადამიანები საკმაოდ საინტერესო ცვლილებებს გთავაზობენ. **მშვილდოსანი** – სხვების რჩევებს ნუ დაუჯერებთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. შეცდომების გამოსასწორებლად იშვიათი შანსი გეძლევათ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. იოლად ნურავის მიენდობით. პირად ცხოვრებაშიც სიფრთხილე გამოიჩინეთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. საკუთარი პოზიციების დაცვა აუცილებელია. ნუ მოეშვებით.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ უნდა გავარჩიოთ ეროტიკა და პორნო ერთმანეთისგან?

– სულ ადვილია! თუ რომელიმე სიუჟეტი დაბეჭდილია იაფფასიან გაზეთში, ეს პორნოა, ხოლო თუ იგივე დაბეჭდილია ძვირადღირებულ ჟურნალში, ეს უკვე ეროტიკაა, და უფრო მეტიც, თუ ის ზეთშია შესრულებული და თანაც XVI საუკუნეში, მაშინ მსოფლიო ხელოვნების შედევრია!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ეჰ, რა დრო მოვიდა...

– რას გულისხმობ?

– დღეს ვნახე და ნიღაბი უფრო მეტი მაქვს, ვიდრე ტრუსიკი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– თურმე ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს და დაადგინეს, რომ არაყი ყინულით თირკმელებს ვნებს, რომი ყინულით – ღვიძლს, ჯინი ყინულით – გულს, ვისკი ყინულით – ტვინს...

– მერე?

– მერე ის, რომ ხედავ, რა საშინლად მავნებელი ყოფილა ყინული?!

●●●

გიგი დედას ეუბნება:

– დედიკო, მომეცი რა ნაყინი!

– ჯერ არა, სადილის მერე მოგცემ. მანამდე წადი და ეზოში ითამაშე.

– იქ არავინაა, მომეცი რა ნაყინი!

– არა, მაშინ სახლში ითამაშე.

– კარგი, მაშინ შენ მეთამაშე.

– კარგი და რა გეთამაშო?

– მე მამა ვიქნები, შენ დედა.

– კარგი, მიდი, დაიწყე.

– სამსახურიდან მოვედი, რას წამოტყლარჭულხარ დივანზე? აეთრიე და ბავშვს ნაყინი მიეცი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გია მურღულია: „ყოველ სახლს ორი სახის ღობე შეიძლება იცავდეს — სიყვარული ან ხმალი“



ფილოლოგ გია მურღულიას მიაჩნია, რომ ყოველ სახლს ორი სახის ღობე შეიძლება იცავდეს – სიყვარული ან ხმალი:

– პირველი ხანდახან მტრებს მეგობრებად აქცევს, მეორე მათ სიკვდილით აშინებს.

სრული გარანტია არც ერთს არ მოაქვს, მაგრამ გადაწყვეტილება, მოაქციოს თუ შეებრძოლოს, ადამიანზე ყველაზე უკეთ ლაპარაკობს.

ერთიც არის – შემოუღობავი სახლის დანახვისას მოძალადე შეიძლება დაფიქრდეს:

„რა ძალა აქვს ამის მფლობელს ისეთი, თავდასხმის რომ საერთოდ არ ეშინია?!“

ხმალი ვერასდროს გამოხატავს სიყვარულს, თუმცა მის მცველად შეიძლება იქცეს, უხმლობა კი ზოგჯერ ზეხმალია.

სიყვარულის ხმალი თუ ხმლის სიყვარული? – არჩევანი ჩვენზეა.

ნიკა ქავთარაძე: „დღე არ გადის, რომ ერთხელ მაინც არ ვინატრო სიკვდილი“

„ენ შოუს“ წამყვანი ნიკა ქავთარაძე არ მალავს, რომ ბოლო პერიოდში სიკვდილზე ეფიქრება:

– უკვე კვირებია, დღე არ გადის, რომ ერთხელ მაინც არ ვინატრო სიკვდილი. ეს ფიქრი მხოლოდ რამდენიმე წამს გრძელდება და ქრება, მაგრამ მაინც საშინელი ტანჯვაა საკუთარი თავის ამდენ რამეში დადანაშაულება.

რა შემიძლია, თუ მართლა არაფერი შემიძლია?! უსუსურობისა და დემორალიზების შეგრძნებით ცხოვრება საკუთარ ქვეყანაში რატომ უნდა იყოს ჩვეულებრივი ამბავი.

ხომ შეიძლება, ერთმანეთის ბედნიერებისთვის ვიცხოვროთ და არა ერთმანეთის გასაუბედურებლად?!

ხომ შეიძლება, ერთმანეთს გულით მოვუსმინოთ და არ დავიყრუოთ თავი, შველას თუ ითხოვს ვინმე?!

ხომ შეიძლება, ერთმანეთს ერთადერთი სიცოცხლე არ ჩავამწაროთ და არ მოვუსპოთ?!

ხომ შეიძლება, ჩვენი აზრი მართლა ჩვენი იყოს?!

ხომ შეიძლება, რამე ვქნათ, რომ ხვალ უკეთ ვიყოთ, ვიდრე დღეს ვართ?!

ხომ შეიძლება, შეგვრცხვეს, როცა ვაშავებთ?!

ხომ შეიძლება, თავისუფლება შევიყვაროთ?!

ხომ შეიძლება, ვიყვიროთ, თუ ყვირილია გამოსავალი?!

ხომ შეიძლება, გავბრაზდეთ, როცა მონებად გვთვლიან?!

ხომ შეიძლება, მტერი და მოყვარე გავარჩიოთ?!

ხომ შეიძლება, ეს დედამო..ნული?! არ შეიძლება?!

ანდრია გველესიანი: „გვეშველება მაშინ, როდესაც ერთმანეთის პატივისცემა გვექნება!“

ახმეტელის თეატრის მსახიობი ანდრია გველესიანი გვარწმუნებს, რომ მაშინ გვეშველება, როცა ერთმანეთის პატივისცემას ვისწავლით:

– გვეშველება მაშინ, როდესაც ერთმანეთის პატივისცემა გვექნება!

პატივისცემა გვექნება უფროს-უმცროსის, ერთმანეთის პროფესიის, ნებისმიერი თანამოქალაქის, სარწმუნოების, ოჯახის, ერთმანეთის სიცოცხლისა და ყველა იმ ღირებულების, რაც ადამიანს გააჩნია!

სამწუხაროდ, ამის დეფიციტია დღეს საზოგადოებაში!

და სწორედ ეს არის მიზეზი ჩვენი „კარგად“ ყოფნის!

ძველ თბილისში უნიკალური აღმოჩენა გაკეთდა

„ტფილისის ჰამქარის“ წევრი ცირა ელისაშვილი ძველ თბილისში უნიკალური აღმოჩენის შესახებ ინფორმაციას გვიზიარებს:

– აი, რა საოცრება გამოჩნდა ყოფილი სასტუმრო „ლონდონის“ შესასვლელში, კომუნისტების მიერ გადალესილი და გადაღებილი ფენის ქვეშ!

ქართული თემატიკა თბილისური სადარბაზოების კედლის მხატვრობაზე ძალიან მცირეა. ეს არის ნამდვილი აღმოჩენა!

უმაგრესი ჯგუფი მუშაობს „ლონდონზე“. მათი რესტავრირებულია აღმაშენებლის 36, რომის 4, მაჩაბლის 17, გალაკტიონის 18... ვინც თბილისს იცნობს, ამ მისამართების მნიშვნელობის ახსნა არ სჭირდება!

მოკლედ, მოსალოცი ამბავია და, დიდი იმედი მაქვს, რომ კედლის მხატვრობის რესტავრაციაში მაინც შემთხვევითი ადამიანები „ფასის დაგდებით“ არ მოიგებენ ტენდერებს! პელეები ხართ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აეროპორტი პრაღაში; 2. იაპონური მოტოციკლეტი; 3. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 4. უნივერსიტეტი მადრიდში; 6. პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 12. მზის სისტემის პლანეტა; 16. ხშირი, ტყიანი ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 17. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 1. მოხეტიალე მომღერალი-მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 5. ჯეიმს ჯოისის რომანი; 7. ქართული კონიაკი; 9. ხილის წვენებით შეზავებული ტკბილი მაწონი; 10. ღვინის, ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 15. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 20. დაქირავებული ტაშის დამკვრელი თეატრში, კონცერტზე; 21. ქართველი კინომსახიობი მამაკაცი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 22. ჯაკომო პუჩინის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა